პროლეტარებო ყველანი ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 იანვარი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 9 (14919)

საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატი

ახალი წლის მაჯისცემა სოფლად

გასულმა 1970 წელმა სოფლის მეურნეობის მშრომელებს ნამდვილად საამაყო შედეგები დაუტოვა. საკმარისია ითქვას, რომ დიდი გადაჯარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსთვის მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, შაქრის ჭარხლის, ციტრუსების, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები. განვლილმა წელმა საფუძველი მოამზადა ახალი, 1971 წლის დავალებათა უთუოდ შესრულებისათვის, და ტრადიციული ესტაფეტა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა საიმედო ხელშია.

სოფლის მეურნეობის მუშაკების თავდადებულ შრომას მაღალი შეფასება მისცა აბხ. ს. ი. ბრეჟნევმა თავის საახალწლო მისალმებაში საბჭოთა ხალხისადმი. კომუნისტური პარტიის მოწოდება და წინასწარდასახულობანი ახალი შემოქმედებითი შრომის ფართო ასპარეზს უქმნის სოფლის მშრომელებს იმისათვის, რომ 1971 წლის ფინიშამდე კვლავაც გამარჯვებულნი მივიდნენ. ამას ისიც მოწმობს, რომ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, რათა ღირსეულად შეეხვედეთ პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის ნახევარსაუუნოვან იუბილეს.

ახალი ხუთწლედის პირველი წლის ამოცანები უფრო დიდია, ვიდრე გასული წლისა. ეს ახალი მოჭნები, როგორც ყოველთვის, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა სახახელოდ უნდა აიღონ. ამ მოჭნების დაპყრობა იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, ციტრუსების, მეცხოველეობის პროდუქტების საერთო წარმოება და დამზადება. უნდა გვახსოვდეს, რომ მიმდინარე ხუთწლედში ყურძნის წარმოება უნდა გაიზარდოს ერთნახევარჯერ, ხილისა — 2,4-ჯერ, ციტრუსებისა — 43 პროცენტით, მარცვლეულისა — 40 პროცენტით და სხვ. ამასთან 1970 წელთან შედარებით თვალსაჩინოდ უნდა გადიდდეს კარტოფილის, ბოსტნეულის, ეთერზეთოვანი კულტურების, ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება და დამზადება.

კონკრეტულად რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს 1971 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობისათვის? უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ახალი მოთხოვნების დონეზე აიყვანონ ორგანიზატორული მუშაობა, აამაღლონ სოფლის მშრომელთა უნარი, ენერგია, განამტკიცონ დისციპლინა და ყველაფერი გააკეთონ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. საჭიროა ზამთრის დღეებში ყურადღების ცენტრში დავაყენოთ კადრების სწავლება, ავამაღლოთ სოფლის სპეციალისტთა კვალიფიკაცია. განსაკუთრებით გავაუმჯობესოთ აგრონომია — მნიშვნელობის ტექნოლოგთა საქმიანობა. დავეხმაროთ მათ და მკაცრადაც მოვთხოვოთ მინდობილი საქმის წარმატებით შესრულება.

ახლა ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვთ. მხოლოდ საჭიროა დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი და ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. განუწყვეტლივ ვისწავლოთ წარმოების ეკონომიკის შემდგომი განვითარების თანამედროვე ხერხები და მეთოდები, სრულყოთ მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ შემოწმებული, ცხოვრებით ნაკარნახევი სიახლის ფართოდ დანერგვა. საბჭოჩა მუდამ წინ ვიხედებოდეთ, ანალიზი გაკეთებითო გუშინ გაწეულ შრომას, მის შედეგებს, დღეს უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ, ხვალ კი უკეთ, ვიდრე დღეს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს საამისო პირობებს უქმნიან ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა. გადავხედოთ ზოგიერთ მონაცემებს, რომლებიც 1971 წლისათვის არის გათვალისწინებული. წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა დამატებით მიიღებს 3.000 ტრაქტორს, 200 მარცვლეულის ასალებ კომბაინს, 1.600 ცალ ტრაქტორის მისაბმელებს, 1.800 სატვირთო ავტომანქანას, 850 ექსკავატორს, 250 ბულდოზერს, 77 ავტოამწეს და სხვა იარაღ-მანქანებს. ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად წელს გამოიყოფა 665 ათასი ტონა მინერალური სასუქები.

სოფლის მშრომელთა სამსახურში ჩადგება ათასობით ჰექტარი დაშრობილი ახალი მიწები, გაშენდება 10.400 ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები. 1969 წელთან შედარებით სარწყავი ფართობები გაიზრდება 14,6 ათასი ჰექტარით, ფართოდ განხორციელდება ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი. გაჩაღდება კოლხიდის დაშრობის გიგანტური საფუშაოები, დაჩქარდება ზემო ალაზნის არხის მშენებლობა, მკვეთრად განვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელება დიდ შემოქმედებითს შრომას, ენერგიას მოითხოვს. ამის შესახებ ნათლად, საქმიანად, პრინციპულად უნდა ამსჯელონ კოლმეურნეობების საინგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომლებიც მალე დაიწყება. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობათა საქმიანობის ზუსტ ანალიზს და ისეთ ღონისძიებათა დასახვას, რაც უზრუნველყოფს ახალ, უფრო დიდ წარმატებათა მოპოვებას.

დიდი, პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს. მათ 1970 წელს უფრო გამართულად იმუშავეს, და ამის შედეგად მოგებამ 29 მილიონ მანეთს მიაღწია. 36 საბჭოთა მეურნეობა გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, წელს კი გადაყვანილ იქნება 17 საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ ყველაფერი რიგზე როდია. ჯერ კიდევ არიან საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ზარალით მუშაობენ. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მეურნეობათა არარენტაბელობა? ვფიქრობთ, აუცილებელი იქნება ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უახლოეს ხანში უზრუნველყოფს ამ ჩამორჩენის დაძლევას.

სოფლის მშრომელთა გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ სანიმუშოდ მოემზადონ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. საჭიროა დროულად და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ მთელი ტექნიკა, საკმაო რაოდენობით მოიმარაგონ, სრულ სათეს კონდიციამდე აიყვანონ ყველა სახის თესლი და უზრუნველყონ მისი საიმედოდ შენახვა. მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დაგალებათა სასახელოდ შესრულება არც ისე ადვილია. ამიტომ აუცილებელია ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა შეიმუშაონ ქმედითი ღონისძიებანი, განამტკიცონ მიღწეული წარმატებანი. დიდი ნაბიჯი გადადგან წინ ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმების და ნაკისრი გალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIV საქალაქო კონფერენციის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIV საქალაქო კონფერენცია გაიხსნება 1971 წლის 15 იანვარს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

კონფერენციის დელეგატთა რეგისტრაცია წარმოებს ყოველდღე 1971 წლის 15 იანვრამდე დილის 10 საათიდან 20 საათამდე საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შენობაში (შ. ჩიტაძის ქუჩა, 2); 15 იანვარს დილის 9 საათიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი

ღირსეულად შეეხვედით ჩვენი პარტიის ყრილობას

ფეიქართა გადაწყვეტილება

თელავი. (საკ. კორ.). წინდებს საქსოვი ფაბრიკის (დირექტორი გ. მღებრიშვილი) მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივის მოწოდებას სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. დადგინდ. რა წინასაყრილობო დამკვრელური შრომის ვახტაზე თელაველმა ფეიქრებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს:

პირველი კვარტალის პროდუქციის რეალიზაციის პიროვნული კვლევა 25 მარტისათვის, ბოლო დარჩენილ დღეებში გეგმის გადამეტებით გამოუშვან 60 ათასი წყვილი წინდა.

მიზნის მისაღწევად ფაბრიკის საამჭროებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

მეღვინეები გვაკრდებიან

თბილისის № 3 ღვინის ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მარტვე ხუთწლიანი გეგმა და 1970 წლის დავალება. საწარმოს კოლექტივი წარმატებით აგრძელებს ლენინის საუბილეო წელს ადებულ შრომის მაღალ ტემპს. საწარმოს კოლექტივმა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა:

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 28 მარტისათვის შეასრულოს, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას 12 ათასი დეკალომანი ღვინო, მოსახდინოს 50 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, შრომის ნაყოფიერებას გაზარდოს 0,6 პროცენტით, მიიღოს 15 ათასი მანეთი ზოგებითი მოგება;

რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიიღოს 8 ათასი მანეთი პირობითი მკონომია, დაზოგოს 10 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 3 ათასი მანეთის სხვა მასალები.

ახალი მედიკამენტები, პრეპარატები

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწოდებას სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაწევის შესახებ და ერთსულოვნად გადაწყვიტა:

პირველი კვარტალის პროდუქციის რეალიზაციის დაგალება 25 მარტისათვის შეასრულოს, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლოს 2 პროცენტით, მიიღოს 10 ათასი მანეთი ზოგებითი მოგება.



მუხრანელი მევენახე

ზაზვინარ თინიკაშვილმა მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში რიგით კოლმეურნედ დაიწყო თავისი შრომითი გზა. მზევინარმა დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ახალგაზრდა სპეციალისტს იმ ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდეს, რომელიც ვაზის ნერგების გამოყვანეზე მუშაობს. გასულ წელს ამ ბრიგადამ 125 ათასი ნერგი გამოიყვანა.

მუყაითმა და შრომისმოყვარე გოგონამ მოკლე დროში დაიმსახურა თანასოფლელთა პატივისცემა და რაიონის კომუნისტებმა იგი აირჩიეს თავის დელეგატად საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე.

სურათზე: მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის მევენახეთა აგრონომ-ბრიგადირი მზევინარ თინიკაშვილი (მარცხნივ) თავისი ბრიგადის წევრებთან.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდისის ფოტოკორონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და დაწესებულებებში სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით 1970 წლის სექტემბერ-ოქტომბერში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და დაწესებულებებში მოეწყო სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების ორი თვის დათვალიერება. დათვალიერების ძირითადი მიზანი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჩირნოების რეჟიმის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარილის საფუძველზე დაეხარჯა და განეხორციელებინათ სამუშაო დღის შემჭიდროების, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების ღონისძიებანი.

დათვალიერების მოსაწყობად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა რესპუბლიკური კომისია, აგრეთვე კომისიები შეიქმნა პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებში და მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და დაწესებულებებში.

რესპუბლიკურმა კომისიამ გარკვეული მუშაობა გასწია დათვალიერების მოსაწყობად: შეიმუშავეს და გამოაცხადა დათვალიერების დებულება, აღრიცხვის და ანგარიშების ფორმები, პლაკატები. კომისიებმა ადგილებზე წინასწარ გაშალეს მასობრივი მუშაობა, რათა მაქსიმალურად ჩაებათ კოლექტივების წევრები იმ ღონისძიებათა დანერგვაში, რომლებიც ხელს უწყობენ სამუშაო დროის, მოწყობილობის, ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის რაციონალურ გამოყენებას, ტექნიკური პროგრესის შემდგომ გაუვითარებას. მეგრ საწარმოში გაიმართა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებები, რომლებიც მიეძღვნა დათვალიერების მიზნებსა და ამოცანებს, თვითეული მუშაკის როლს ამ დათვალიერებაში.

დათვალიერებამ ორგანიზებულად ჩაიარა იქ, სადაც თავიდანვე მას მიუდგნენ დიდი პასუხისმგებლობით და სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს. ამ ორგანიზაციებში შემოტანილ მტკრ რაციონალიზატორული წინადადება, დანერგვა და დანერგვის პროცესშია კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და წარმოების ეფექტიანობას.

დათვალიერების პერიოდში, მთლიანად რესპუბლიკაში შეტანილია 35 ათასი წინადადება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სამუშაო დროის უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის, დაინერგა 17 ათასამდე წინადადება, რის შედეგადაც მიღებულია 6 მილიონი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია.

დათვალიერების მოწყობისათვის დიდი მუშაობა გასწიეს თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა. ორთვიურმა წარმატებით მაიარა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, სადაც წარმოების მოწინავეებმა და ნოვატორებმა შეიტანეს 1.250-ზე მეტი წინადადება, რომელთაგან 500 დაინერგა და მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტიც მისცა საწარმოს. 360-ზე მეტი წინადადება დაინერგა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში, რაც 24.800 ნორმა-საათით შეამცირებს გამოშვებული პროდუქციის მრომატევადობას. სამუშაო დროის უკეთ გამოყენების ბევრი რეზერვი გამოვლინდა ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“, ფოლად-თუჯსამსხმველო ქარხანაში, საქართველოს სამეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითის ცენტრში, რესპუბლიკის საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში და, სხვ.

დათვალიერებას დღენიადაგ თვალყურს ადევნებდნენ აპარის პარტიული ორგანიზაციები. აქ დათვალიერების დროს საწარმოებში შეტანილ 1.800-ზე მეტი წინადადება, რომელთაგან 985 უკვე დაინერგა წარმოებაში, ამის შედეგად ორ თვეში მუშების მოცდენები ცვლებში 30-40 პროცენტით შემცირდა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რამაც საშუალება მისცა საწარმოებს გეგმის გადამეტებით გამოეშვათ 560 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

აფხაზეთის საწარმოებსა და დაწესებულებებში დათვალიერება მშრომელთა აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. დათვალიერების დროს პარტიული ორგანიზაციები კონტროლს უწევდნენ მუშაობის მსვლელობას, რომელშიც მონაწილეობდნენ დაახლოებით 120 სამრეწველო საწარმოს, მშენებლობის, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების კოლექტივები. სულ აფხაზეთში დათვალიერების პერიოდში შეიტანეს სამი ათასზე მეტი წინადადება, რომელთაგან დაინერგა დაახლოებით 1.700.

ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს დათვალიერების მაღალი დონე. საქალაქო დამთვალიერებელი კომისიის წევრები სისტემატურად მიდიოდნენ ადგილებზე, უშუალოდ მონაწილეობდნენ ორთვიურის ორგანიზაციასა და კონტროლში, დამარგანეს უზრუნველნენ საწარმოებს მშრომელთა წინადადებების განხორციელების დონისძიებათა შემუშავებაში. ამ დროს მანძილზე ქალაქის საწარმოებში და მშენებლობებზე შეტანილია 3.700-ზე მეტი წინადადება, რომელთაგან 1.600-ზე მეტი დაინერგა.

დადებითი შედეგები მოიტანა დათვალიერებამ რუსთავსა და ტყიბულში.

დათვალიერების მსვლელობაში გამოვლინდა ნაკლოვანებანი სამუშაო დროისა და მოწყობილობის გამოყენებაში, სამუშაო ადგილების მომზადებაში, შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საქმეში, სამმართველო აპარატის შრომის ორგანიზაციაში, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, ტყიბულის შახტებში ცვლის შორის სამუშაო დროის დანაკარგები შრომის სრული ორგანიზაციის გამო 985 ადამიანი-დღეს, ანუ 2 ათასზე მეტ ადამიანზე გაანგარიშებით. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ბორჯომის, ახალციხის, ფოთის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ლაგოდეხის, ბაღდათის, ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხობის, ვანის, ბაგრატიონ-ყვირილის, ასპინძის, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ბოლნისის, ხიდისთავის, ბაღდათის, ზესტაფონის, ფოთის, ანაკლი

პარტიულ კონფერენციებზე

კომუნისტი და მომთხოვნელობა

აჭარის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე

ცხოვრება, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა ყოველ ნაბიჯზე თვალნათლივ გვარწმუნებს, თუ რაოდენ დიდი სიკეთე, რაოდენ სასურველი შედეგი მოსდევს ადამიანებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებას დიდსა თუ მცირე საქმეში. ამიტომ თვითეული პარტიული ორგანო დაბეჯითებით ზრუნავს, რომ შემდგომ აამაღლოს ადამიანებისადმი, განსაკუთრებით კი კომუნისტებისადმი კონტროლი და მომთხოვნელობა, გამოიჩინოს ამ მხრივ მეტი პრინციპულობა.

სწორედ ეს ჭეშმარიტი პირობა წითელი ზოლივით გასდევდა ამ დღეებში გამართულ აჭარის XXXII საოლქო პარტიულ კონფერენციას. როგორ ვიშრომეთ საანგარიშო პერიოდში, რომელიც თითქმის სამ წელიწადს მოიცავს? რა გაკეთდა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, თვითეული პირველადი პარტორგანიზაციის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხი, რაც მოცემული იყო აჭარის საოლქო პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და მის ირგვლივ გამართულ კამათის მონაწილეთა გამოსვლებში, თითქოს თავს იყრიდა ერთ ფოკუსში — თვითეული ადამიანისადმი, განსაკუთრებით კი კომუნისტებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებისათვის ზრუნვაში.

ამ კონფერენციის დელეგატებს შორის არიან ისინი, რომელთა შრომა და ცხოვრება, მათი დამოკიდებულება საქმისადმი საუკეთესო მაგალითია ათეულ და ასეულ ათასობით მშრომელისათვის. მუდამ მაღალ მოთხოვნებს უყენებენ თავიანთ თავს აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე, სოციალისტური შრომის გმირები: მეჩაიე ასმათ ჯიჯავაძე, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ივანე ფუტკარაძე, საკოლმეურნეო წყობილების ვეტერანი სანდრო ჭანკვეტაძე, ახალშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვახტანგ ჩხეიძე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ბაჯელიძე, ძველი რევოლუციონერები ა. თალაკვაძე, ი. იუდინი, ვ. ჭანიშვილი და სხვები.

დარბაზში სხედან სახელოვანი მეჩაიეები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლედის დავალება და სამშობლოს გეგმის ვადამეტებით 16.166 ტონა ნედლეული მისცეს. ხელდამშვენებულნი მოვიდნენ მეციტრუსეები, რომლებმაც კონფერენციას ნაკისრი ვალდებულების ორმაგად შესრულება უძღვნეს — 35 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 70 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. თავი ისახელა აგრეთვე ბევრმა მეთამბაქოემ, მესიმინდემ, მევენახემ და მეცხოველემ.

სოფლის მეურნეობის მოწინავეებს გვერდს უმშვენებენ მრეწველობის სახელოვანი ადამიანები, გამომგონებლები და რაციონალიზატორები, ხარატები და მღარავები, მშენებლები და მეზღვაურები, სწორედ ისინი, რომელთა მარჯვენითა და გონებით კეთდება წყალქვეშაფრთიანი კატარღები, ელექტროურიკები, კვების მრეწველობის მანქანები, ბათუმური ფეხსაცმელი და ტყავნედლეული...

სწორედ ამ მოწინავე ადამიანთა შრომას, მათი მაგალითის ფართოდ გავრცელებას და განზოგადებას, მინდობილი საქმისათვის თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლებას დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თხილაიშვილი გამოვიდა. მოხსენებაში ნათლად ჩანდა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის საქმიანი შეფასება, მისი კრიტიკული ანალიზი. მოხსენებამ კარგი ტონი მისცა კამათს. დელეგატები თავიანთ სიტყვებში დადებითი გამოცდილებაზე რომ ლაპარაკობდნენ, ამასთან ამხილებდნენ ნაკლოვანებებს, აყენებდნენ მუშაობის გაუმჯობესების პრაქტიკულ წინადადებებს.

კონფერენციაზე კმაყოფილებით ითქვა, რომ აჭარის ასსრ მრეწველობამ 1970 წლის 11 ნოემბრისათვის შეასრულა საერთო პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა. დავალების გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია 40 მილიონ მანეთზე მეტი სამრეწველო პროდუქცია. როგორც ხუთწლიანი გეგმა, ისე საანგარიშო პერიოდის წლიური სახელმწიფო გეგმები ვადამდე შეასრულეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა, კოფეინის, ღვინის, მანქანათსამშენებლო, ქობულეთის ტუნგის ქარხნებმა, ბათუმის ხორცკომბინატმა, ჩაის, საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკებმა, თევზჭერის ბაზამ და სხვა საწარმოებმა.

საანგარიშო პერიოდში მრეწველობაში დაინერგა 2978 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც სახელმწიფოს 4 მილიონამდე მანეთი წლიური ეკონომია მისცა.

ყველა ამ წარმატებათა სათავე კი, როგორც მომხსენებელი და კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, ადამიანთა აქტივობის ზრდაში, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაში უნდა ვეძებოთ. მაგალითისათვის დაასახელეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც 18 სახის ნავთობპროდუქტებს უშვებს. იგი პირველი ხუთწლედის პირმშოა და შესანიშნავი ტრადიციები აქვს. მთავარი ის არის, რომ ამ ტრადიციებს უნარიანად იყენებს საწარმოს მრავალრიცხოვანი პარტიული ორგანიზაცია.

ბევრი საუკეთესოს და ახლის მოთავენი არიან გემთსამშენებლო და მანქანათსამშენებლო ქარხნების კომუნისტები, რომელთა აქტივობასა და ინიციატივას სწორად წარმართავენ ამ საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

მაგრამ კონფერენციის ტრიბუნიდან ნათქვამმა სიტყვებმა ბევრი დელეგატიც გააწითლა. მათ შორის სამართლიანი კრიტიკა შეხვდათ პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებს იმ ხუთი საწარმოდან, რომლებმაც საანგარიშო პერიოდში ულიმღამოდ იმუშავეს, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები ვერ შეასრულეს. ესენი არიან: ბათუმის ტყავისა და ჭოროხის საშენ მასალათა ქარხნები, ქობულეთის ბამბის საქსოვი ფაბრიკა, სახლმშენებლობის კომბინატი და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წარმოება.

რაშია საქმე? როგორც ითქვა, პირველ რიგში ჩამორჩენის მიზეზია ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონე, ადამიანებისადმი არასაკმაო კონტროლი და მომთხოვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში და კერძოდ ბათუმში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, ამასთან შემცირდა მშენებლობის ვადები, ამაღლდა ხარისხი, ინერგება მოწინავე ინდუსტრიული მეთოდები, მაინც თანამედროვე მოთხოვნებს მთლიანად ვერ უპასუხებს კაპიტალური მშენებლობის დონე. აი უკვე შვიდი წელია ჭიანურდება ელექტრომექანიკური ქარხნის მშენებლობა. არც ზღვაოსნეთა სპორტული სკოლის, ქედის სავადმყოფოს, საზღვაო სასწავლებლის კლუბ-სასადილოს და აეროპორტის მოსაცდელი პავილიონის მშენებლები ჩქარობენ. მთლიანად არ არის ათვისებული ხუთწლედის მანძილზე ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი თანხები. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა კოოპერაციულ საბინაო მშენებლობაში.

ყოველივე ამაზე, აგრეთვე ზოგიერთი პროდუქციის წარმოების დაგეგმვის ნაკლოვანებებზე მიაპყრეს კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება თავიანთ გამოსვლებში პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კოპალეიშვილმა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ, საერთო მშენებლობის № 5 ტრესტის მმართველმა მ. უსტიაშვილმა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დიასამიძემ და სხვებმა.

საინტერესო იყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივნის ბ. მახარაძის გამოსვლა. სანაოსნოს ახალგაზრდა კოლექტივმა და მისმა ავანგარდმა — პარტიულმა ორგანიზაციამ მოკლე დროში გარკვეული გამოცდილება შეიძინეს. დელეგატი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მეზღვაურთა კადრების შერჩევასა და აღზრდაში არსებულ ნაკლოვანებებს, მასობრივ-პოლიტიკური და საერთოდ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას, რაც კიდევ უფრო აამაღლებს სანაოსნოს თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს რომ ასრულებდნენ, აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მშრომელებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. საერთო მიღწევებს, ასევე ცალკეული მეურნეობების შედეგებს საქმიანი ანალიზი ჰქონდა გაკეთებული საანგარიშო მოხსენებასა და მოკამათეთა სიტყვებში.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, გასულ წელს ციტრუსების სარეკორდო მოსავალი იქნა მოყვანილი. ამაში კი მეტად დიდია ქობულეთის რაიონის წვლილი.

ბევრი მაგალითი დაასახელეს მეთამბაქოეთა, მეცხოველეთა, მებოსტნეთა შრომაზე. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების რეზერვებსა და საშუალებებს მიაქციეს ყურადღება თავიანთ გამოსვლებში პარტიის ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის, ქედის რაიკომების პირველმა მდივნებმა რ. სირაძემ, მ. ბერიძემ, მ. ხოზრევანიძემ, ა. ძნელაძემ, ვ. ნაკაშიძემ, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ი. რომანაძემ, ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეჩაიემ ნ. ფალავანდიშვილმა, ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ბაჯელიძემ. სწორედ ახალი რეზერვების ამოქმედებით იქმნება რეალური შესაძლებლობანი, — განაცხადეს მათ, — რომ უახლოეს ხანში ციტრუსების წარმოება აჭარაში 100 ათას ტონამდე გაადიდონ.

დელეგატებმა ისიც თქვეს, რომ გაუმჯობესებას მოითხოვს ბათუმისა და აჭარის კურორტების მომარაგება ბოსტნეულით, რომ ბევრგან ჯერ კიდევ დაბალია ყურძნისა და ხილის მოსავლიანობა, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დაფნის, ტუნგის, ბამბუკის, სიმინდის, ლობიოსა და სხვა კულტურების წარმოებას, მეტ ზრუნვას საჭიროებს მიწების მელიორაცია და ირიგაცია.

განსაკუთრებით აღინიშნა ჩამორჩენა მეცხოველეობაში. გაბედულად ითქვა, თუ რა არის ამ ჩამორჩენის, პროდუქტების მაღალი თვითღირებულების, მექანიზაციის ცუდად გამოყენების მიზეზები. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი კვლავ და კვლავ ადამიანებთან მუშაობის არასაკმაო დონეა.

კონფერენციაზე სამართლიანად ითქვა, რომ ადამიანებთან მუშაობის ხელოვნება კაცს დაბადებიდანვე არ გამოჰყვება. საჭიროა იგი თანდათანობით პრაქტიკულ მუშაობაში შეიძინო, ამასთან პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ამოცანაა ხელი შეუწყონ პარტიული მოღვაწეობის დადებითი გამოცდილების ყველგან დანერგვას, კადრების, განსაკუთრებით პარტიული აქტივის სწავლებას.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში, დამახინჯებებსა და დარღვევებს ვხვდებით სავაჭრო ორგანიზაციებში. მათთან არსებული პარტიული ორგანიზაციები კი ხშირად ეფექტიან ღონისძიებებს ვერ ახორციელებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აჭარაში ამჟამად 973 პოლიტსკოლა და თეორიული სემინარი მუშაობს. პარტიულ სწავლებაში 22 ათასამდე მსმენელია, რომელთაგან 17.247 კომუნისტია. საქართველოს საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელი 33 სკოლა და სემინარი. ხუთი ათასზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი აცნობს აქაურ მშრომელებს პარტიის უახლოეს ამოცანებსა და გადაწყვეტილებებს.

მაგრამ კონფერენციამ სავსებით სწორად მოითხოვა პარტიული ორგანიზაციებისაგან, რომ კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება, მთელი აღმზრდელობითი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდეს პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას.

ამ მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ ამაღლდეს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, შემდგომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, ფართოდ გაიშალოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, შეიქმნას სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი, — საინტერესო წინადადებანი წამოაყენეს აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ტ. ჩიქოვანმა, აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ მ. ეკიზაშვილმა, კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. სარიშვილმა, ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ო. ბაკურაძემ და სხვებმა.

— კრიტიკა და თვითკრიტიკა, თქვეს მათ, — ყოველგვარი უძრაობის, ნაკლის, რუტინის, დახავსებულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესანიშნავი საშუალებაა და მას თვითეულ პარტორგანიზაციაში მეტი პატივისცემით უნდა მოეკიდონ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა, რომელმაც დელეგატთა ყურადღება გაამახვილა როგორც საქართველოს, ისე აჭარის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების წინაშე მდგომ ამოცანებზე. ამხ. გ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში არსებულ ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე, კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებისა და შესრულების კონტროლის გაძლიერებაზე, განსაკუთრებით ხელმძღვანელი მუშაკის მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე, წინასაყრილობო და წინასაიუბილეო შეჯიბრებაში კომუნისტთა ავანგარდულ როლზე.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია რწმენა, რომ აჭარის პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო გააძლიერებენ ადამიანებისადმი მომთხოვნელობას, აამაღლებენ კომუნისტთა ინიციატივასა და აქტივობას, რითაც ახალ თვალსაჩინო წარმატებებს მოიპოვებენ კომუნისტური მშენებლობის გზაზე.

ალ. ზურაშვილი,
მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1 ვარდნილჰესი დამკვრელური ობიექტია ენგურჰესის მშენებლობაზე. სწორედ აქ უნდა ამუშავდეს პირველი აგრეგატი, რომელიც პირველ სამრეწველო დენს გამოიმუშავებს.
სურათზე: № 1 ვარდნილჰესის ერთ-ერთ უბანზე მიმდინარეობს ბეტონის სამუშაოები.
ფოტო თ. ფუტკარაძისა.

საამქროში ცივა, წუნი მატულობს

თელავის № 15 სამკერვალო ფაბრიკა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა რაიონში. აქ 650-მდე მუშა შრომობს. ფაბრიკა ბავშვის ასაკის, სკოლამდელი და მოსწავლე გოგონების პალტოებს უშვებს. აქაური ნაწარმი არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ რესპუბლიკებშიც იყიდება. ამ ზომის პალტოებზე საერთოდ დიდი მოთხოვნილებაა.

ფაბრიკის ეკონომიური მაჩვენებლები ცუდად როდი გამოიყურება; საწარმო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს თითქმის ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. მაგალითად, 1969 წელს 4.240 ათასი მანეთის ნაცვლად 4.500 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა და გეგმა 106 პროცენტით შეასრულა, შარშან 11 თვეში კი გეგმა 101,6 პროცენტით შესრულდა. 1969-1970 წლებში ასევე გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმებიც.

ციფრობრივი მაჩვენებლები ფაბრიკის კარგ მუშაობაზე მეტყველებს. აქ იმაზე მეტ ბავშვის პალტოებს უშვებენ, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, და სავაჭრო ორგანიზაციებშიც დროულად გზავნიან, მაგრამ... თუ ამ მაჩვენებლებს ღრმად ჩავხედავთ, სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება. სამწუხაროდ, ფაბრიკის პროდუქციაში დიდია წუნი. მარტო 1969 წელს სავაჭრო ორგანიზაციებში საკონტროლოდ გასინჯული 14.806 პალტოდან დაბალ ხარისხში იქნა გადაყვანილი 1.280 პალტო, ანუ გასინჯული პროდუქციის 8,6 პროცენტი, ხოლო ფაბრიკას დაუბრუნდა შესასწორებლად 1.958 პალტო, ანუ 13,2 პროცენტი. 1969 წელს ფაბრიკამ სულ მიიღო 17 რეკლამაცია და სარეკლამაციო თანხამ 10.711 მანეთი შეადგინა.

მოსალოდნელი იყო, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელები, სპეციალისტები ამ მდგომარეობას ჩაუფიქრდებოდნენ და გადამჭრელ ღონისძიებებს განახორციელებდნენ საწარმოს მარკის ღირსების ამაღლებისათვის, მოსპობდნენ წუნს და კარგად შეკერილი პალტოებით გაახარებდნენ პატარებს, მაგრამ ასე როდი მოხდა. წუნი კვლავ გრძელდება. შარშან მარტო 10 თვეში ფაბრიკამ უკვე 10 რეკლამაციის მიღება „მოასწრო“ და ჯარიმების თანხამ 5.437 მანეთი შეადგინა. საკონტროლოდ გასინჯული 11.202 პალტოდან დაბალ ხარისხში იქნა გადაყვანილი 723 პალტო — გასინჯული პროდუქციის 6,5 პროცენტი, ხოლო ფაბრიკას უკან დაუბრუნდა შესასწორებლად 1.838 ცალი პალტო, ანუ 16,4 პროცენტი. ეს მხოლოდ საკონტროლოდ გასინჯულ პალტოებს ეხება, და განა ცოტა გაიყიდა ისე, რომ კონტროლი არ გაუვლია?

ეს მდგომარეობა უფრო იმიტომ არის დამაფიქრებელი, რომ ფაბრიკის ნაწარმის მომხმარებლები იმ ასაკის ბავშვები არიან, რომლებიც აქედანვე უნდა ეჩვეოდნენ გემოვნებით ჩაცმას, ყოველივე ლამაზისა და ფაქიზის პატივისცემას. თელავის ფაბრიკა კი ამ მხრივ ცუდ მაგალითს უჩვენებს.

რა არის ასე დიდი რაოდენობით წუნის დაშვების მიზეზი? ამ კითხვით მივმართეთ საწარმოს მუშებსა და სპეციალისტებს.

აი რა გვიპასუხეს მათ:

ნ. ბაზიერაშვილი (პროცესის ოსტატი): მართალია, ჩვენი პროდუქციის ხარისხი სავალალოა! ხშირად ხდება, რომ ჩვენს შეკერილ პალტოებს ჯიბე სხვა ფერი აქვს და საყელო სხვა. ეს იმიტომ, რომ გასაფორმებლებს გვიან გვაძლევენ, ირევა ფერები.

ნ. სამნიაშვილი (დამფენი მუშა): ყველა პასუხისმგებლობით არ ეკიდება საქმეს, პასუხის მომთხოვნი კი არავინ არის. მოსამზადებელი საამქროდან ხშირად მოდის არასწორი განაჭრიშება, რის გამო იძულებული ვართ ნაწარმი ერთი ზომიდან მეორე ზომაში გადავიყვანოთ ან სულ ამოვიღოთ.

მ. ახვლედიანი (ტექნოლოგი): ხარისხზე ძირითადად ცვლის ოსტატებმა უნდა იზრუნონ, მაგრამ ისინი სულ არ ზრუნავენ ხარისხისათვის.

გ. იმერლიშვილი (შემკერი საამქროს ბრიგადირი): საწარმოში ხშირია სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები, ეს კი დიდ შეფერხებას იწვევს; პროდუქციის მაღალი ხარისხი დამოკიდებულია შრომის დისციპლინაზეც, ჩვენს ფაბრიკაში კი სათანადო სიმაღლეზე არა დგას შრომის დისციპლინა.

ისინი მართალი არიან. საამქროებში ნამდვილად ადგილი აქვს უდისციპლინობას, მოისუსტებს კონტროლი. ბევრი მუშა აცდენს სამუშაოს, მათ ადგილს არაკვალიფიციური მუშები იკავებენ, წუნმდებლები და კონტროლიორები კი გულდასმით არ ამოწმებენ ნაწარმის ხარისხს, ერიდებიან, ამხანაგი არ გაანაწყენონ. ამას ისიც ემატება, რომ საწარმოო პროცესებს დაბალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის კი აქ ნაკლებად ზრუნავენ. საერთოდ ფაბრიკაში ტექნიკური ხელმძღვანელობა სუსტია. არ იგრძნობა მომთხოვნელობა. ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა მ. ბაზაშვილმა განაცხადა: განა არ ვუთითებ, მაგრამ ისევ ისე აკეთებენ, რა პასუხია ეს, მთავარი ინჟინრის სიტყვას წონა ხომ უნდა ჰქონდეს?

წუნს ისიც უწყობს ხელს, რომ პალტოებისათვის საჭირო ქსოვილებისა და დამხმარე მასალების მომწოდებლები ხშირად არღვევენ მიწოდების გრაფიკს. არარიტმული მომარაგების გამო ზოგჯერ რამდენიმე დღით ცდება საამქროები, შემდეგ კი ერთბაშად იწყება იერიშობანა გეგმების შესრულებისათვის.

წუნის დაშვებას ხელს უწყობს მუშათა შრომის არადამაკმაყოფილებელი პირობებიც. სამი წლის წინათ მუშებმა ახალ, სამსართულიან თანამედროვე ტიპის შენობაში გადასვლა იზეიმეს, მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ შენობას კანალიზაცია არ ჰქონია, რის გამო წყლის ონკანები და საპირფარეშოები დაკეტილი აღმოჩნდა.

დღემდე ვერც შენობის გათბობა მოგვარდა. გათბობისათვის ცხელი წყალი ფაბრიკამ მეზობელი საწარმოს—აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის საქვაბე მეურნეობიდან უნდა მიიღოს, მაგრამ იქ რეკონსტრუქცია მიმდინარეობს (სამ წელზე მეტია ჭიანურდება ამ საქვაბის დამონტაჟება). ცხელი წყლის გამტარი ტრასა თითქმის ათას მეტრზეა გაყვანილი, ათეულ ათასობით მანეთი უქმად არის ჩაყრილი, სამკერვალო ფაბრიკა კი არ თბება და საამქროებში ხიცივეა.

ფაბრიკაში შექმნილი მდგომარეობა შეუწყნარებელია. თელავის № 15 სამკერვალო ფაბრიკას დახმარება ესაჭიროება, იქ წესრიგი უნდა დამყარდეს.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პრინციპულობის საზომით

რეპორტაჟი საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კონფერენციიდან

თავიანთ XXXIII პარტიულ კონფერენციას სამხრეთ ოსეთის კომუნისტები სიამაყის გრძნობით შეხვდნენ. მათ კარგად იციოდნენ საქმის ვითარება ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ კონფერენციის დაწყებამდე მისი დელეგატები, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილნი გაცხოველებით მსჯელობდნენ ოლქისათვის მეტად საჭირბოროტო პარტიულ, საბჭოთა თუ სამეურნეო საკითხებზე.

ვინ არ მონაწილეობდა ამ მსჯელობაში. ესენი იყვნენ კომუნისტები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, შემოქმედებითი შრომის ადამიანები. აქ ნახავდით შორეული მთის სოფლებიდან, კასპიისპირეთის ზამთრის საძოვრებიდან ჩამოსულ მეცხვარეებს, ჯაველ მეცხოველეებს, ცხინვალელ, ზნაურელ, ლენინგორელ მეხილეებსა და მემინდვრეებს, მეჭარხლეებსა და მევენახეებს.

კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შემდეგ სიტყვა საანგარიშო მოხსენებისათვის ეძლევა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გ. ჯუსოევს.

იგი ვრცლად ლაპარაკობს იმ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაზე, რომელსაც სამხრეთ ოსეთის კომუნისტები ეწეოდნენ საანგარიშო პერიოდში.

კონფერენციაზე გამართული მსჯელობიდან ნათელი გახდა, რომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამხრეთ ოსეთის მრეწველობამ. საანგარიშო პერიოდში, რაც თითქმის 3 წელიწადს მოიცავს, მწყობრში ჩადგნენ ახალი საწარმოები, გაიზარდა არსებული ქარხნების, ფაბრიკების სიმძლავრეები. იმატა გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ. უკანასკნელ ხუთწლედში ოლქის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია 69 მილიონი მანეთით აღემატება წინა ხუთწლედში გამოშვებულ პროდუქციას. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ გასული სამეურნეო წელი მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს ისეთმა დიდმა საწარმოებმა, როგორიც არის ქვაისის ტყვია-თუთიის საბადო, ხე-ტყის კომბინატი, ქარხნები ელექტროიზომანქანა, „ემალსადენი“... წარმატებანი იმის შედეგია, რომ საგრძნობლად ამაღლდა საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, მეტი ყურადღება დაეთმო მასებში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, კადრების მოფიქრებულად შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას.

საგულისხმო წარმატებებია მოპოვებული მშენებლობის დარგშიც. კონფერენციაზე მოიყვანეს მაგალითები, თუ როგორ იზრდება ოლქის საცხოვრებელი ფონდი, კერძოდ საოლქო ცენტრ ცხინვალში, სადაც ყოველწლიურად მწყობრში დგება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. საგრძნობლად დაჩქარდა აგრეთვე კულტურის კერების, სამრეწველო და კომუნალური ობიექტების, საყოფაცხოვრებო კომბინატების მშენებლობა. ეს, — აღნიშნავდნენ მოკამათენი, — პარტიული ორგანიზაციების მზარდი შემოქმედებითი შრომის, კომუნისტების აქტივობისა და დარაზმულობის შედეგია.

— მაგრამ, — ითქვა კონფერენციაზე, — ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები და მათი პარტიული ორგანიზაციები. ცხინვალის ავტობუსების სარემონტო და ქიმიური ქარხნები სისტემატურად ვერ ასრულებენ გეგმებს. ამ საწარმოთა საქმიანობაში კვლავ ადგილი აქვს ფორმალიზმს, გადამწყვეტი დავალებებისადმი ზერელე მიდგომას, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სიახლეებს წარმოებაში, უგულებელყოფილია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა. ეს კი ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესამჩნევი ჩრდილოვანი მხარეა. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქალაქის წყალსადენი, ფერხდება ახალი ხაზების მშენებლობა.

კონფერენციაზე საკმაოდ ფართო მსჯელობა გაიმართა სოფლის მეურნეობის საკითხებზე. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში საქმეები სოფლად გაცილებით უკეთ მიდის, ვიდრე ადრე. პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამაღლდა მინდვრის კულტურების, ბაღ-ვენახების მოსავლიანობა, იმატა მეცხოველეობის პროდუქტიულობამ. პარტიის ცხინვალის, ლენინგორისა და ჯავის რაიკომის მდივნებმა გ. თადტაევმა, ა. მარგიევმა და უ. ხაბიკაევმა მოიყვანეს იმის მაგალითები, თუ როგორ იზრდება წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როცა მათი პარტიული ორგანიზაციები მოწოდების სიმაღლეზე დგანან.

გასულ წელს სამხრეთ ოსეთმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის, ხილის, შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალება. მაგრამ, — აღნიშნეს მოკამათეებმა, — ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია მეცხოველეობაში. მართალია, ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის სულადობრივი განვითარების დავალებანი, მაგრამ საქმე მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს. კვლავ დაბალია რძის, კვერცხის, ხორცის წარმოება. მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩამორჩებიან ნამატის გამოზრდასა და შენარჩუნებაში, საკვების წარმოებასა და მომარაგებაში. ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ პირუტყვის სადგომების მშენებლობასა და კეთილმოწყობას.

კამათის მონაწილე კომუნისტებმა ყურადღება გაამახვილეს სოფლად და ქალაქად სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების დაცვისადმი. ამ საკითხის გარშემო კონფერენციაზე საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ რ. ცხოვრებოვმა, რომელმაც გააკრიტიკა პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების მუშაობა. აღინიშნა, რომ ოლქში ჯერ კიდევ ადგილი აქვს საბჭოთა კანონიერების დარღვევის შეუწყნარებელ ფაქტებს. მაგალითად, სახელმწიფო სახსრების დიდი გაფლანგვა მოხდა „საქხილბოსტნის“ სამხრეთ ოსეთის სამმართველოში. მართალია, დამნაშავენი ამჟამად დასჯილები არიან, მაგრამ მათი მხილება შეიძლებოდა ჯერ კიდევ ადრე, როცა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი უმნიშვნელო იყო.

კონფერენციაზე გააკრიტიკეს აგრეთვე პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტი, სადაც გასულ წელს დაუშვეს უხეში შეცდომა — პარტიის რიგებში ნაჩქარევად, სკკპ წესდების დარღვევით მიიღეს ვინმე ვ. საიკოვი. ამავე საკითხში შეცდომები ჰქონდა პარტიის ლენინგორის რაიკომსაც.

კონფერენციის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ახლად არჩეულმა პარტიის საოლქო კომიტეტმა მკვეთრად გააძლიეროს ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, ყოველი საშუალება იხმაროს, რომ არ დაუშვას საერთო ქონების გაფლანგვისა და განიავების ფაქტები. თვითეული კომუნისტი ვალდებულია ამ საკითხში დახმარება გაუწიოს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს.

კამათის მონაწილეებმა თქვეს, რომ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, საქალაქო და რაიონული კომიტეტები საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მოკამათეებმა მოიყვანეს მაგალითები საყოფაცხოვრებო კომბინატების, სავაჭრო ორგანიზაციების, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების ორგანოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობიდან. აღინიშნეს, რომ ამ ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს გასულ ხუთწლედში. ქალაქისა და სოფლის მშრომელებს ახლა ყველა საშუალება აქვთ იმისათვის, რომ ფართოდ ისარგებლონ კომუნალური ობიექტების, საყოფაცხოვრებო კომბინატის მაღალკვალიფიციური მომსახურებით. ამაღლდა სკოლებში სწავლა-აღზრდის დონე. მეტი ყურადღება დაეთმო სავადმყოფოების, საექიმო პუნქტების, სამშობიაროების მუშაობას.

საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ქ. ჯიოევი თავის გამოსვლაში ფართოდ შეეხო საბჭოების მუშაობას. მან მოიყვანა მაგალითები, თუ როგორ გაძლიერდა საბჭოების როლი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. დამსწრეებს გააცნო ჯავის, ზნაურის, ცხინვალისა და ლენინგორის რაიონების ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ნაყოფიერი მუშაობის მაგალითები.

საბჭოთა ადამიანის კომუნისტური იდეებით აღზრდის ამოცანას მრავალი მოკამათე შეეხო. ამ საკითხზე განსაკუთრებით ფართოდ ილაპარაკა საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა თ. გაგლოევმა. იგი შეჩერდა თანამედროვე ოსი მწერლების საქმიანობაზე, სკოლებში ოსური, ქართული და რუსული ენების სწავლების პრობლემებზე, ახალგაზრდა მწერლებთან შემოქმედებითი კავშირის გაღრმავების გადაუდებელ ამოცანებზე, ოსი და ქართველი მწერლების ლიტერატურული ურთიერთობის ამოცანებზე.

კონფერენციის მსჯელობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო სოფლად და ქალაქად პროპაგანდისტულ-სააგიტაციო მუშაობა. აღინიშნა, რომ ამ მხრივ ფართო საქმიანობას ეწევიან პარტიული ორგანიზაციები, პარტიული კომიტეტების ლექტორები, პოლიტიკური მომხსენებლები, საზოგადოება „ცოდნა“, კულტურის კერები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები. მრავალ სოფელში ნაყოფიერად მოღვაწეობენ პარტიული კაბინეტები, რომლებშიც თავმოყრილია სოფლის საუკეთესო პროპაგანდისტული ძალები. მიმდინარე სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში წინა წლებთან შედარებით უფრო ორგანიზებულად, მომზადებულად დაიწყო. პროპაგანდისტთა კადრები ადრე შეარჩიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა, ქალაქსა და ბევრ სოფელში მოეწყო მათი გადამზადება. ამან დადებითი შედეგი გამოიღო. ამაღლდა, უფრო შინაარსიანი და მიმზიდველი გახდა მეცადინეობა პარტიული განათლების ქსელში.

კომუნისტები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა კვლავ გააძლიერონ შემოქმედებითი საქმიანობა, რათა სამხრეთ ოსეთი ახალი წარმატებებით შეხვდეს პარტიის XXIV ყრილობას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა. მან დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა პარტიული მუშაობის დონის ამაღლების, ქალაქად და სოფლად საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების მტკივნეულ საკითხებზე.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციების შემოქმედებით საქმიანობის გაძლიერებას.

გ. გოგიაშვილი,
ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

დამამზადებელი ორგანიზაციების ინსპექტორთა სემინარი

11 იანვარს თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის შემფასებელ სახელმწიფო ინსპექტორთა სემინარმა. სემინარის მიზანია შეასწავლოს სახელმწიფო ინსპექტორებს სწორად გამოიყენონ სახელმწიფო სტანდარტები, რესპუბლიკური ტექნიკური პირობები ტექნიკური კულტურების — კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის ხარისხის შეფასებისას.

სემინარის ორგანიზატორები არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროები. მეცადინეობას ატარებენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები.

სემინარი გახსნა სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური კვლევის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელმა ვ. პიმკინმა.

მოხსენებანი გააკეთეს საქართველოს სსრ დამზადების მინისტრმა მ. ნარსიამ, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ტექნიკური კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსმა რ. სტეპანიანცმა, კარტოფილისა და ხილბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსმა ნ. ხვატკინმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სატვირთო სამსახურის უფროსმა პ. მარჩენკომ, საქართველოს სსრ სტანდარტებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორიის უფროსის მოადგილემ ბ. ასათიან-ნადირაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის მთავარმა კონსულტანტმა ტ. დადიანმა.

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობანი მოეწყობა სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგების საწარმოებსა და ლაბორატორიებში: ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში, საქართველოს შაქრის კომბინატში, შულავრის ეთერზეთოვანთა კომბინატში, ლილოს ხილბოსტნეულის ბაზაში და სხვა ორგანიზაციებში.

სემინარი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების 180 სახელმწიფო ინსპექტორი, ხელს შეუწყობს მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და ხარისხის შეფასების დარგში, დაამყარონ სახელმწიფო დისციპლინა დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის მიღებაში, მოამზადონ დამამზადებელი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები.

სემინარი 5 დღეს გაგრძელდება.
(საქდესი).

ხილი, ბოსტნეული

ზუგდიდი. (საკ. კორ.). „საქხილბოსტნის“ ზუგდიდის სარაიონთაშორისო დამზადების კანტორა წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა. არ სრულდებოდა კურკოვანი, თესლოვანი ხილისა და ციტრუსების დამზადებისა და რეალიზაციის გეგმები.

აქ პირველი წარმატება ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოიპოვეს. ხილბოსტნეულის დამზადების კანტორამ (დირექტორი ა. ქირია) 1970 წლის სახელმწიფო გეგმა 104,7 პროცენტით შეასრულა, თესლოვანი ხილისა — 104,8 პროცენტით, ციტრუსებისა — 148 პროცენტით, სუბტროპიკული ხურმისა და ბოსტნეულისა — 105 პროცენტით.

ზუგდიდში, მესტიასა და წალენჯიხაში დამზადებული ხილი საახალწლოდ გაიგზავნა მოსკოვში, როსტოვში, ტაგანროგში, თბილისში, ნოვოჩერკასკში, ნალჩიკში.

კანტორის მუშაკებმა სახელმწიფოს 7 ათასი მანეთი მოგება მისცეს. გამართული მუშაობის ეს პირველი ნაბიჯები „ხილბოსტნის“ კანტორის მუშაკებმა პარტიის XXIV ყრილობასა და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიუძღვნეს.

ჩვენი ახალი ფოსტიდან

● **ონი.** „ჯანმრთელობის სასმელი“ — ასე უწოდებენ ცნობილ უწერის მინერალურ წყალს. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება ეს სასწაულმოქმედი წყალი. გასულ წელს უწერის მინერალური წყლის ჩამომსხმელმა ქარხანამ გამოუშვა 592.500 ბოთლი „უწერა“.

წელს მინერალური წყლის ჩამოსხმა კიდევ უფრო გადიდდება. მარტო პირველ კვარტალში ქვეყანა მიიღებს 70 ათას ბოთლ „ჯანმრთელობის სასმელს“.

ვ. ბეჟანაძე.

● **ქუთაისი.** ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გამართა კითხვა-პასუხის საღამო იურიდიულ თემებზე.

ავტომშენებელთა შეკითხვებზე, რომლებიც მართლწესრიგის, კანონიერების დაცვის საკითხებს შეეხებოდა, ამომწურავი პასუხები გასცეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბ. ფურცხვანიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. იოსავამ, ქ. ქუთაისის პროკურორმა ა. ულენტმა და ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ა. იობიძემ.

ზ. ჯავახიშვილი.

● **თელავი.** ფშაველის სასოფლო საბჭომ და კოლმეურნეობამ სისუფთავის დაცვის კვირეულის დღეებში ჩააბეს მთელი მოსახლეობა. გაწმინდეს სასოფლო და საუბნო გზების ნაპირები, არხები, ამოძირკვეს ჯაგნარები.

უ. ციხისთავი.

● **ხელვაჩაური.** ჭარნალის სასოფლო ბიბლიოთეკაში 8 ათასამდე დასახელების წიგნია და ხუთასზე მეტი მკითხველი ჰყავს.

ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა საინტერესო ღონისძიებები, კითხვა-პასუხის საღამოები, ლექციები და საუბრები.

დ. ნინიძე.

მსოფლიო დღეს

ქაირო

პრეზიდენტ ანვარ სადათის გამოსვლა

11 იანვარი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა გუშინ სიტყვა წარმოთქვა ასიუტში (ზემო ეგვიპტე).

ისრაელ-ამერიკის პროპაგანდა, განაცხადა მან, ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეგვიპტის განზრახვა არ გააგრძელოს მესამე ვადით შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოასწავებდეს, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა 5 თებერვალს ომს აცხადებს. ამ პროპაგანდისტული კამპანიის მიზანი, ხაზი გაუსვა ანვარ სადათმა, ის არის, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის თვალში წარმოადგინონ როგორც შეურიგებელი, საომრად განწყობილი მხარე. მე, აღნიშნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, არასოდეს არ მითქვამს 5 თებერვალს ომს ვაცხადებ-მეთქი. მე ვთქვი მხოლოდ, რომ ამ თარიღის შემდეგ ჩვენ ჩავთვლით, რომ არა ვართ შებოჭილი შეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და არ დავთანხმდებით ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელებას. ეს კი სრულიად განსხვავდება სამხარი განცხადებებისაგან, რომლებსაც დასავლეთის პრესა მომაწერს ისრაელის ინტერესებისათვის.

პრეზიდენტმა სადათმა შემდეგ ილაპარაკა საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობაზე, მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას არაბთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერის პოზიციისათვის.

ბეირუთი

მდგომარეობა იორდანიაში

11 იანვარი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, იორდანიაში კვლავ დაძაბული ვითარებაა. ამანის ცალკეულ რაიონებში გუშინ საღამოს ისმოდა სროლის ხმა, ქალაქში ისევ დაკეტილია მაღაზიები.

პალესტინის ორგანიზაცია „ფათჰის" წარმომადგენელმა აქ განაცხადა, რომ იორდანიის მთავრობის ჯარებმა და ტანკებმა გუშინ ალყა შემოარტყეს და სროლა აუტეხეს იორდანიის დედაქალაქის მახლობლად მდებარე პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკს „ალბაკაას". წარმომადგენლის თქმით, იორდანიის შეიარაღებულმა ძალებმა აგრეთვე შეუტიეს ამანში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის შტაბ-ბინას.

იორდანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ადრე განაცხადა, რომ ამანში პოლიციელთა რამდენიმე საგუშაგოს აუტეხეს სროლა, რის შედეგადაც დაიჭრა ოფიცერი.

ჰანოი — პატრიოტები უტევენ

11 იანვარი. (საკდესი). მიმდინარე წლის დამდეგს კუანგჩის პროვინციაში მოქმედმა განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს მთელი რიგი წარმატებითი საბრძოლო ოპერაციები.

განთავისუფლების პრესის სააგენტოს მონაცემებით, 6 იანვრისათვის აქ მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკის ჯარებისა და საიგონის მარიონეტული არმიის კიდევ 260-მდე ჯარისკაცი, ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი, ჩაძირეს 6 სამხედრო კატარღა, მოსპეს 7 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი.

მდგომარეობა უარესდება — ლონდონი

11 იანვარი. (საკდესი). ახლანდელი კონსერვატიული მთავრობის ეკონომიური კურსი ხელს უწყობს ინფლაციური ტენდენციების კატასტროფულ ზრდას ინგლისში, აღნიშნულია ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის სპეციალურ მოხსენებაში ქვეყნის ფინანსური სიძნელეების შესახებ, რომელიც დღეს გამოქვეყნდა.

დოკუმენტში ხაზგასმულია ინგლისის მმართველი წრეების იმ მტკიცების უსაფუძვლობა, რომ ფინანსური სიძნელეები გამოწვეულია მუშების მოთხოვნით ხელფასის მომატების შესახებ. როგორც მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, ინფლაციის მთავარი მიზეზია ის, რომ მთავრობა უარს ამბობს იხმაროს ღონისძიებანი ფასების განუწყვეტელი ზრდის, უმუშევართა არმიის გადიდების წინააღმდეგ.

ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა ვიქტორ ფეზერმა თავის განცხადებაში მოხსენების გამოქვეყნების გამო ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა „ყოველგვარი საშუალებით ცდილობს გაყინოს მშრომელთა ხელფასი, ამასთან ურიგდება ფასების უკონტროლო ზრდას".

ვიქტორ ფეზერმა დაგმო აგრეთვე მთავრობის მიერ წარმოების ტემპის შენელებაზე აღებული კურსი, რაც უმუშევრობის ზრდას იწვევს. მხოლოდ წარმოების გაფართოებას შეუძლია, განაცხადა მან, გამოიყვანოს ინგლისის ეკონომიკა ახლანდელი მძიმე მდგომარეობიდან.

იარინგი ნიუ-იორკს გაფრინდა

ლონდონი, 11 იანვარი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში გ. იარინგი, რომელიც იერუსალიმში კონტაქტებს ახორციელებდა ისრაელის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან, გუშინ ნიუ-იორკს გაფრინდა.**

დასავლეთის პრესის ზოგიერთი ორგანო, ეხება რა გ. იარინგის ვიზიტს ისრაელში, გამოთქვამს შიშს, რომ თელ-ავივი კვლავ თავის ძველ ექსტრემისტულ პოზიციებზე დგას.

როგორც ცნობილია, ისრაელის ხელმძღვანელნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩაფუშონ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგება, საბოტაჟი გაუწიონ უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულებას და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და პოლიტიკური დახმარების მეოხებით შეინარჩუნონ ოკუპირებული არაბთა ტერიტორიები.

მოკლედ

გრძელვადიანი შეთანხმება

● **ხართუმი. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და სუდანის მთავრობათა სავაჭრო დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს გრძელვადიან შეთანხმებას, რომლითაც გათვალისწინებულია 1971-1978 წლებში უფრო გაიზარდოს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა. საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა.**

კოლუმბიის შეკვეთით

● **ბოგოტა. (საკდესი). აქ საბჭოთა კავშირიდან ჩამოვიდა ტროლეიბუსების მორიგი პარტია. ბოგოტის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოსთან დადებული სავაჭრო შეთანხმებით, საბჭოთა კავშირმა მას უნდა მიაწოდოს 100 ტროლეიბუსი.**

გაფიცვა ღაზაში

● **ლონდონი. (საკდესი). ისრაელების მიერ ოკუპირებული ღაზის სექტორის მოსახლეობამ გამოაცხადა გაფიცვა. სექტორის მთავარ ქალაქში დაიხურა მაღაზიები, არ მუშაობენ სკოლები. ისრაელის ხელისუფალნი მიმართავენ რეპრესიებს და ცდილობენ ჩაახშონ არაბი მოსახლეობის გააქტიურებული წინააღმდეგობა ოკუპანტებისადმი.**

აღმოაჩინეს შეთქმულება

● **ნიუ-იორკი. (საკდესი). ბოლივიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ აღმოაჩინეს მემარჯვენე ძალების ახალი შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ხუან ხოსე ტორესის მთავრობის დამხობას. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ხორხე გალიარდომ განაცხადა, ფაშისტური ელემენტების ცდები — ხელთ იგდონ ძალაუფლება ქვეყანაში — ჩაიფუშა. მთავრობა კონტროლს უწევს მდგომარეობას.**

თავისმკვლელი ვეშაპები

● **ნიუ-იორკი. (საკდესი). ხან-კლემენტის უკაცრიელი კუნძულის ნაპირზე ლოსანჯელესის მახლობლად გამოირიყა 29 ვეშაპი.**

ვეშაპების ეს „თვითმკვლელობა" გიგანტური ზღვის ცხოველების მასობრივი დაღუპვის პირველი შემთხვევა როდია. მისი მიზეზები მეცნიერებმა ჯერჯერობით არ იციან. ზოგი ამერიკელი სპეციალისტის აზრით, მეთაურმა, რომელსაც მიჰყვება მთელი ჯგუფი, დროზე ვერ განსაზღვრა ოკეანის სიღრმე. სხვები იმ აზრისა არიან, რომ მეთაური, რომელიც ავად გახდა, დასასვენებლად ამოვიდა მეჩეჩზე და თან გაიყოლია მთელი ჯგუფი.

ფაქტები

წინასაარჩევნო ბრძოლა ინდოეთში

ამ დღეებში დელში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ პარლამენტის არჩევნები გაიმართება 26 თებერვლიდან 4 მარტამდე. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 270 მილიონზე მეტი ამომრჩეველი.

პრეზიდენტ გირის გადაწყვეტილება რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესახებ ნაკარნახევი იყო იმით, რომ რეაქციულმა ძალებმა მკვეთრად გააქტიურეს ძირგამომთხრელი საქმიანობა მთავრობისა და მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის წინააღმდეგ, რომლებიც ახორციელებენ პროგრესულ გარდაქმნებს ამ ქვეყანაში.

განდის მთავრობის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა მსხვილი ბანკების ნაციონალიზაცია, მონოპოლიათა ძალაუფლების შეზღუდვა, სამთავროთა ყოფილი მმართველების — მაჰარაჯების პრივილეგიების გაუქმება და სხვა, ინდოეთის რეაქცია გააფთრებით შეხვდა. მემარჯვენეებს არ მოსწონთ ინდოეთის ახლანდელი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკაც.

რეაქციის ძირითად ძალებს ინდოეთში წარმოადგენენ რელიგიურ-თემური პარტია „ჯან სანგჰი", მსხვილი კაპიტალის პარტია „სვატანტრა", აგრეთვე ინდოეთის ეროვნული კონგრესისაგან გამოყოფილი მემარჯვენე დაჯგუფება, რომელსაც „კონგრესის ორგანიზაცია" ეწოდა. ეს მემარჯვენე პარტიები და ორგანიზაციები ხშირად ერთმანეთსაც მტრობენ. მაგრამ ახლა, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ინდური გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი", „პროგრესული კურსის ყველა ეს მოწინააღმდეგე მზად არის გაერთიანდეს", რათა გაილაშქრონ ინდირა განდის მთავრობის წინააღმდეგ.

ამ პირობებში მემარჯვენე პარტიამ — ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა, როგორც ნათქვამია მის წინასაარჩევნო მანიფესტში, [illegible] პლატფორმა, რომლითაც გამოდის არჩევნებში ინდოეთის ეროვნული კონგრესი, ითვალისწინებს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განმტკიცებას, აგრარული გარდაქმნების დამთავრებას, საგარეო-პოლიტიკურ საქმეებში მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის შემდგომ განხორციელებას.

წინასაარჩევნო ბრძოლა ინდოეთში სულ უფრო ფართოვდება. ამ ქვეყნის პროგრესული ძალები აქტიურად უჭერენ მხარს ინდირა განდის მთავრობას და რაზმავენ თავიანთ რიგებს. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაუშვან რეაქციის შავბნელი ზრახვების განხორციელება. (საკდესი).

ჩინეთი — ემზადებიან სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიისათვის

როგორც გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო" იუწყება, წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გათვალისწინებული აქვთ მოიწვიონ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია. თუმცა სესიის მოწვევის ზუსტ თარიღს საიდუმლოდ ინახავენ, პეკინში მყოფი უცხოელი მეთვალყურენი არ გამორიცხავენ შესაძლებლობას, რომ სესიას იანვარშივე მოიწვევენ.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, რომელიც 1954 წლის კონსტიტუციით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, უკანასკნელად მთელი შემადგენლობით შეიკრიბა ექვსი წლის წინათ — 1964 წლის დეკემბერში — 1965 წლის იანვარში. ჯერ კიდევ 1968 წელს ოთხი წლის ვადა გაუვიდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატების მანდატებს. კრების თავმჯდომარე, მარშალი ჟუ დე ჯერ კიდევ „კულტურული რევოლუციის" დასაწყისში გამოაცხადეს „განდგომილად", „სამხედრო თავადად". ჩინეთის პოლიტიკური სცენიდან უკვალოდ გაქრა ბევრი მისი 18 მოადგილიდან, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების წევრთა მნიშვნელოვანი, შესაძლოა უდიდესი ნაწილიც.

ახლა, პეკინიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს „აადორძინოს" სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, რათა მისი სახელით მოიწონოს ის ცვლილებანი, რომლებიც ქვეყანაში მოხდა „კულტურული რევოლუციის" შედეგად. შესაძლოა, სესიაზე გამოაცხადებენ სახელმწიფოს ახალ მეთაურს (როგორც ვიუწყებოდით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი „კულტურული რევოლუციის" პერიოდში ერთ-ერთ „მთავარ რევიზიონისტად" გამოაცხადეს და 1966 წელს ფაქტიურად გადააყენეს პოსტიდან).

როგორც ჩინეთიდან მიღებული კანტი-კუნტი ცნობებიდან ჩანს, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიისათვის მზადება რთულ ვითარებაში მიმდინარეობს. წინათ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატებს ირჩევდნენ პროვინციული სახალხო კრებები, რომლებიც წარმომადგენლობითი ფორუმები იყო და გამოხატავდნენ ქვეყნის ამა თუ იმ რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრსა და ნებას. მაგრამ „კულტურული რევოლუციის" პერიოდში ასეთი კრებების მოწვევა ფაქტიურად შეწყდა. ამ ბოლო პერიოდში სახალხო კრებების მაგივრად იწყობა „მაოს იდეების შემსწავლელ აქტივისტთა ყრილობები" და არმიის „ოთხი კარგის" ასეულების შექმნისათვის მოძრაობის მონაწილეთა შეკრებები.

(საკდესი).

დარ-ეს-სალამი — ცნობა „სიკვდილის კუნძულიდან"

11 იანვარი. (საკდესი). რასისტული საიდუმლო პოლიციის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ტანზანიის დედაქალაქში მოვიდა ცნობა რობენის, ანუ როგორც მას აფრიკელები უწოდებენ, „სიკვდილის კუნძულიდან", სადაც იტანჯება ასობით პოლიტიკური პატიმარი — სამხრეთ აფრიკის განთავისუფლებისათვის მებრძოლი.

წერილში, რომელიც პოლიტიკური პატიმრების ჯგუფმა ნამიბიიდან მოახერხა საიდუმლოდ გამოეტანა და მიეტანა სამხრეთ-აფრიკის სახალხო ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, ნათქვამია, თუ რა მხეცურად ეპყრობიან რასისტი ციხის ზედამხედველები რობენის კუნძულის პატიმრებს. წერილი დათარიღებულია გასული წლის 8 თებერვლით და ცნობილი არ არის, ცოცხალი არიან თუ არა ისინი, ვინც მსოფლიოს შეატყობინა საშინელი სიმართლე რასისტული რაიხის ჯურღმულების შესახებ.

კერძოდ, წერილის ავტორები აღწერენ სასტიკ წამებას, რასაც დაპატიმრებულნი განიცდიან. მათ ყოველგვარ ამინდში სამუშაოზე მიერეკებიან კირის კარიერებში, აშიმშილებენ, პურსაც არ აძლევენ და სასტიკად სცემენ საპატიმროს რეჟიმის პატარა დარღვევისთვისაც კი.

ეს საინტერესოა

ტაძარი მოგზაურობს

კაიროში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ და იუნესკომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ნილოსის წყლით დაფარული ძველეგვიპტური კულტურის შესანიშნავი ძეგლების — ისიდასა და ოზირისის ტაძრის, აგრეთვე რომის იმპერატორ ტრაიანის პავილიონის ახალ ადგილზე გადატანის შესახებ.

ეს უდიდესი ნაგებობანი, რომლებიც შემკობილია უნიკალური წარწერებითა და ბარელიეფებით, დგას კუნძულ ფილეზე, რამდენიმე კილომეტრზე ასუანის სამხრეთით. 30-იან წლებში ძველი ასუანის კაშხალის აშენების შემდეგ ეს ნაგებობები კუნძულთან ერთად წყალმა დაფარა. ახლა ტაძარს და პავილიონს დაშლიან დაახლოებით 20 ათას ნაწილად და გადაიტანენ მეზობელ კუნძულზე, რომელიც ფილეს 600 მეტრით არის დაშორებული. შემდეგ მათ ააწყობენ და მისცემენ პირვანდელ სახეს.

სამუშაოების დამთავრება, რომლებიც დაკავშირებულია დიდ ტექნიკურ დანახარჯებთან, გათვალისწინებულია 58 თვეში და დაჯდება 12,5 მილიონი დოლარი. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა გაიღებს ამ თანხის მესამედს. დანარჩენი უნდა გადაიხადონ იუნესკოს წევრმა ქვეყნებმა.

მსოფლიოს პრესა განაგრძობს კორესპონდენციების ბეჭდვას საშინელი სტიქიური უბედურების შედეგების შესახებ, აღმოსავლეთ პაკისტანის ბენგალის სანაპიროს რომ დაატყდა თავს. უბედურებათა შორის, ბუნების სტიქიას რომ მოაქვს, ეს უბედურება შესაძლოა ყველაზე საშინელი იყოს მათ შორის, რაც ადამიანის მეხსიერებას შემოუნახავს. ქარიშხალმა, რომელიც ბრაჰმაპუტრისა და განგის დელტაში მძვინვარებდა გასული წლის 12 ნოემბრის ღამეს, ოფიციალური მონაცემებით, 150 ათასი ადამიანის სიცოცხლე წაიღო. შესაძლოა ეს რიცხვი მეტიც იყოს, ზუსტი ციფრი არავინ იცის.

●

სურათზე: რუკაზე, რომელიც ჟურნალ „კვიკში" (გფრ) იყო გამოქვეყნებული, კარგად ჩანს ბენგალის ყურე და განგის დელტის კუნძულები, რომლებსაც ოკეანიდან მოვარდნილი ქარიშხალი დაატყდა თავს. ქარის სიჩქარე დროდადრო საათში 250 კილომეტრს აღწევდა. ქარიშხალმა მოქცევის ათმეტრიანი ტალღა წარმოშვა, რომელმაც მოსახლეობას აუწერელი უბედურება მოუტანა. ეს რაიონი ამ 5 წლის მანძილზე უკვე მეორედ ხდება გამანადგურებელი ქარების სასაპარეზო.

ქარიშხალი ბენგალის ყურეში

მოვლენების კვალდაკვალ

ყველაზე საშინელი ციკლონი, რომელიც კი იცის ისტორიამ, თავს დაატყდა განგის დელტის მჭიდროდ დასახლებულ კუნძულებს. ქარიშხალმა თან მოიტანა 10-მეტრიანი აზვირთებული ტალღები, მათ ყველაფერი და ყოველი წალეკეს თავის გზაზე. ქარის სიჩქარე აღემატებოდა 200 კილომეტრს საათში. ოკეანე საათზე მეტს ბობოქრობდა, შემდეგ მიწყნარდა და, თითქოს ძალა მოიკრიბაო, გაორკეცებული ენერგიით ეკვეთა უკვე დატბორილ კუნძულებს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ციკლონის ძალა, რომელმაც აღმოსავლეთ პაკისტანს გადაუარა, ასჯერ აღემატებოდა ხიროსიმას თავზე ატომური ბომბის აფეთქების ტალღის ძალას. ციკლონის ცენტრში აღმოჩნდა დიდი კუნძული ხატია, მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მიწის ნაკვეთი, აგრეთვე ათობით სხვა, უფრო პატარა კუნძული.

უთვალავი შენაკადები და ათასობით კუნძული ქმნიან განგისა და ბრაჰმაპუტრის დელტას ამ მდინარეების ბენგალის ყურეში შესართავთან. მაგრამ მარტო ძვირფასი შლამი როდი მოაქვთ მდინარეებს. წყალდიდობები აქ ჩვეულებრივი ამბავია. ამ რაიონის უმეტესი ნაწილი ბრტყელი დაბლობია და წყლისათვის დაბრკოლებას მხოლოდ შარშანდელი დანალექი ან მიწის დამბები შეადგენენ. ეს უკანასკნელი ადგილობრივი გლეხების ნახელავია. აქ იშვიათია კუნძული, რომელიც ზღვის დონიდან 4-6 მეტრზე მაღლა მდებარეობს.

დელტა აღმოსავლეთ პაკისტანის 70 მილიონი მოსახლეობის 80 პროცენტს კვებავს. მოსახლეობის სიმჭიდროვე მის კუნძულებზე ალბათ ყველაზე მაღალია მსოფლიოში — 600 კაცი ერთ კვადრატულ კილომეტრზე. საბედნიეროდ ქარიშხლისათვის მისაწვდომ რაიონებში მხოლოდ 3-4 მილიონი ადამიანი ბინადრობს. აქაური მცხოვრებლები თავისი სიღატაკითაც ერთ-ერთ პირველ ადგილზე არიან მსოფლიოში. მათი ყოველწლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 200 რუპიას (37,56 მანეთი) არ აღემატება.

ქარიშხალმა, რომელმაც მოქცევის 10-მეტრიანი ტალღა გამოიწვია, იმდენი სიცოცხლე შეიწირა, რომ ზუსტი ციფრი არავინ იცის. ასახელებენ 150 ათას, 300-350 ათას და მეტსაც კი. ხუთი წლის წინათ წყალმა ოკეანეში წალეკა 15 ათასი ადამიანი და 50 ათასი პირუტყვი. ასეთივე სურათი იყო უფრო ადრე, 1961 წელსაც.

აი როგორ აღწერს ქარიშხლის ღამეს მილანის „ეპოკას" კორესპონდენტი, რომელმაც ვერტმფრენავით გადაუფრინა კატასტროფის ადგილებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი.

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე კუნძულ რაბნაბადს საშინელმა ქარიშხალმა გადაუარა. იგი ერთი საათის განმავლობაში მძვინვარებდა, ძირფესვიანად თხრიდა ხეებს და ჰაერში აფრიალებდა გლეხთა ქოხებს. შემდეგ შემაძრწუნებელი გუგუნი მოისმა, რომელიც ყოველ წუთს გვიახლოვდებოდა, და კუნძულს ოკეანე ეკვეთა. წყლის ზვირთები ერთმანეთს მოჰყვებოდნენ, ხალხი ალაგ-ალაგ შემორჩენილი სახლების სახურავებზე და ხეებზე ცდილობდა თავის გადარჩენას, მაგრამ ყველა ცდა ამაო იყო. წყლის დონე სულ მაღლა იწევდა, დაიტბორა სახლები და ხეები, რომლებზეც ადამიანები აკიდოებივით ეკიდნენ. ქარიშხალი გათენებამდე მძვინვარებდა. წყალმა კი საბოლოოდ დღენახევრის შემდეგ დაიწია.

არავის არ შეუძლია ახსნას, თუ როგორ გადარჩა. ადამიანებმა დაკარგეს ახლობლები და ნათესავები. ამ საშინელ ღამეს ბავშვთაგან არავინ გადარჩენილა. „ჩემი ორი ბავშვი მაშინვე დაიღუპა. დანარჩენი ორი მე ჩამჭიდებოდა, ვიდრე ღონე ეყოთ. მე არაფრის გაკეთება არ შემეძლო" — ამბობდა უბედურებისაგან გაოგნებული 40 წლის მამაკაცი.

ეს სურათი ყველა კუნძულზე მეორდებოდა. ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც 20 ათას კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმულა და სადაც 2,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, პირველად ბავშვები, ქალები და მოხუცები დაიღუპნენ. აქ მოსახლეობის აღწერა არ ხდება და ოფიციალურად არავითარი ცნობა არ არსებობს მისი რაოდენობის შესახებ. გარდა ამისა, კუნძულზე მრავალი ათასი სეზონური მუშა იყო ჩამოსული ბრინჯის მოსავლის ასაღებად. ახლა უკვე ცნობილია, რომ ხატიას, ბხოლას, რაბნაბადის კუნძულებზე, ნოაკხალისა და პატუაკხალის პროვინციებში დაიღუპა ყველა ბავშვი 10 წლის ასაკამდე. ვინც კი სასწაულით გადარჩა, მალე გარდაიცვალა შიმშილისა და ავადმყოფობისაგან.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ აქაური მიწები ცარიელი დარჩება. უკვე ჩამოვიდნენ აქ ჩრდილოეთის გზით გადარუჯული ოლქების მცხოვრებლები. მრავალი მიწის ნაკვეთი ხომ უპატრონო დარჩა. კუნძულებზე ჯერ კიდევ ტრიალებს გახრწნილი გვამების სუნი, ჯერ კიდევ აქა-იქ ჩნდება ეპიდემიის კერები, ჯერ კიდევ არ დაუმარხავთ ყველა დაღუპული, ჯერ კიდევ მოაქვს ოკეანეს მოქცევისას გვამები...

1967 წლის გეოგრაფიული რუკებიც კი მოძველებულია. მდინარე განგი წარმოშობს და სპობს კუნძულებს, რომელთა ნოყიერი ნიადაგი აღმოსავლეთ პაკისტანის გაჭირვებულებსა და ღატაკებს კვებავს. გარდა ამისა, ბენგალის ყურის გეოგრაფიული განლაგება იდეალურ პირობებსა ქმნის ატმოსფერული წნევის მკვეთრი სხვაობისათვის. ჩრდილოეთიდან მათ ჰიმალაები უღობავენ გზას, რომლებიც აღმოსავლეთის მიმართულებით დაბლდებიან. იქმნება ჰაერის უზარმაზარი კორიდორი, რომელიც აზიის უკიდეგანო დაბლობებისაკენ მიემართება. კოლოსალური თერმოდინამიკური ძალების დაწოლით ჰაერის მასები სულ უფრო და უფრო მეტი აჩქარებით მოძრაობენ ასობით კილომეტრ სივრცეზე, და ყველაფერი ეს იწვევს ციკლონებსა და ქარიშხლებს, ბენგალის ყურესა და მის ახლომდებარე რაიონებს რომ ატყდება თავს.

ეს რაიონი ზღვის დამანგრეველი მოქმედებისაგან რომ დაიცვა, საჭიროა რთული საინჟინრო ნაგებობანი და სულ ცოტა 800 მილიონი დოლარი პირველი რიგის სამუშაოებისათვის. საჭიროა აგრეთვე მრავალსართულიანი ქვის სახლების აგება. საიდან აიღებს აღმოსავლეთი პაკისტანი ასეთ თანხას, როდესაც სახელმწიფოს ვალი 5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა და ამ ქვეყნის სავალუტო შემოსავლის 20 პროცენტი ამ ვალის პროცენტების გადახდას უნდება.

მართალია, პაკისტანის მთავრობა ბევრს აკეთებს დაზარალებული რაიონების დასახმარებლად, მაგრამ ეს ყველაფერი წვეთია ზღვაში. არ არის ტრანსპორტი, არ არის სპეციალური რაზმები, არ არის სურსათი. ყველაფერი ეს ინგლისელთა ბატონობის ნაშთია. ბენგალის სანაპიროს ყოველთვის სხვა მოშორებული ადგილებიდან მართავდნენ. 1947 წლის შემდეგ, როდესაც პაკისტანმა დამოუკიდებლობა მიიღო, დელტის რაიონი როდი დაუახლოვდა ქვეყნის ცენტრს. დასავლეთ პაკისტანსა და აღმოსავლეთ პაკისტანს შორის მთელი ინდოეთი ძევს. ამასთან შედარებით უფრო მდიდარ დასავლეთ პაკისტანს თავისთავად მრავალი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. ინგლისელმა კოლონიზატორებმა აღმოსავლეთი პაკისტანი ჯუთის პლანტაციად გადააქციეს, მაგრამ ყველა ქარხანა, რომელიც ამ ჯუთს ამუშავებდა, კალკუტაში მოუყარეს თავი. შემდეგ კალკუტა ინდოეთის შემადგენლობაში შევიდა.

ქარიშხლის შემდეგ ადამიანებს მუცლის ტიფი და ქოლერა დაერია. თითო-ოროლა ჭა გვამებით იყო ამოვსებული. მრავალი ჭაუჭე შეიმალა, ვერტმფრენავები დელტის თავზე დაფრინავდნენ და თუ სადმე სიცოცხლის ნიშანწყალს შეამჩნევდნენ, იქ სურსათსა და მედიკამენტებს ყრიდნენ... ნავების 90 პროცენტი ქარიშხალმა გაანადგურა, კუნძულებს შორის მიმოსვლა შეწყდა...

მთელმა მსოფლიომ მწუხარებით აღიქვა ეს საშინელი ტრაგედია. ყოველი მხრიდან მიდიოდა დახმარება — სურსათი, მედიკამენტები, ტანსაცმელი, საშენი მასალა, ყველაფერი, რაც საჭირო იყო. საბჭოთა კავშირმა გემები გაგზავნა უბედურების ადგილზე, მიავლინა ექიმები და ეპიდემიოლოგები. გამოჰყო ვერტმფრენავი. მაგრამ ყველაფერი ეს როდი შველის საქმეს. ეს აღმოსავლეთ პაკისტანისათვის ძველი, ეროვნული პრობლემაა, რომელსაც ბოლო არ უჩანს... ამასწინანდელი საყოველთაო არჩევნები ნათლად მოწმობს აღმოსავლეთ-პაკისტანელთა სურვილებს. მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი მუჯიბურ რახმანის სახალხო ლიგას, რომელიც აღმოსავლეთ პაკისტანისათვის მეტ დამოუკიდებლობას მოითხოვს, ითვალისწინებს რა აქაურ მცხოვრებთა მოთხოვნილებებს.

მაგრამ მოდით დავუბრუნდეთ ისევ იმ საშინელ ღამეს. აი რას ამბობს ნოაკხალის პროვინციის მცხოვრები მოხუცი.

„ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არაერთი ციკლონი მინახავს. მე დიდი ოჯახი მყავდა და ქვის სახლში ვცხოვრობდი. როდესაც წყალდიდობა დაიწყო, ყველანი სახლში შევიკრიბეთ და მაგრად გადავრაზე კარები. მაგრამ წყალი სულ მაღლა იწევდა, მან ოთახი აავსო და ყელამდე წყალში ვიყავით. ჭერი გავანგრიეთ რათა სახურავზე გავსულიყავით. მაგრამ მარტო წყალს კი არა, მრავალრიცხოვან ქვეწარმავლებსაც ვებრძოდით, რომლებიც ტანზე გვეხვეოდნენ და ჩვენსავით ჭერში გაკეთებული ნახვრეტისაკენ მიისწრაფოდნენ. ყველანი დამეღუპნენ, ქვის სახლმაც ვერ მიშველა".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კუნძული ხატია ციკლონის ცენტრში მოჰყვა. აქ თითო-ოროლა კაცი თუ გადარჩა. რაჰიმ საიფური გადარჩენილთა შორის არის. აი რას ამბობს იგი:

„არავის გავუფრთხილებივართ ციკლონის მოახლოების შესახებ. რადიო დუმდა. ციკლონის შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ოკეანეს ჯერ კიდევ მოაქვს გვამები. ვებრძვით ტიფს, ქოლერას, ვერტმფრენავებიდან ჩამოგვიგდეს ყუთები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათში უფრო მეტი გაზეთი იყო, ვიდრე სურსათი ან მედიკამენტები. გაზეთებიდან გავიგეთ, რომ უსაშინლესი ციკლონის მსხვერპლნი გავხდით. მაგრამ ეს კი არ არის ახლა მთავარი, მთავარია რაც შეიძლება მალე დავეხმაროთ ცოცხლებს. გავა დრო და ჩვენს კუნძულზე კვლავ აყვავდებიან ბაღები, კვლავ გაისმის ღარიბ, მაგრამ სიცოცხლით სავსე ადამიანთა ხმები, ჩვენ თვითონ ავაშენებთ ქოხებს, კვლავ დავთესავთ ბრინჯს, მოვძებნით ახალ ქალებს, გავაჩენთ შვილებს და ვიცხოვრებთ, როგორც ადრე ვცხოვრობდით".

ფოტოაპარატით მსოფლიოს ქალაქებში

ლონდონელები

მსოფლიოს ყველა ქალაქს თავისი იერი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფერები გააჩნია... ასევე ადამიანებიც არა ჰგვანან ერთმანეთს. დაკვირვებული თვალი ადვილად განასხვავებს მეხიკოელს სიდნეელისაგან, ლონდონელს პარიზელისაგან, ბომბეელს ნიუიორკელისაგან... მაგრამ ადამიანები ყველგან ადამიანები არიან, და რამდენი განსხვავებაც არის მათ შორის, ალბათ მსგავსებაც იმდენია...

ლონდონი ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია მსოფლიოში. ინგლისის დედაქალაქში 11 მილიონი ადამიანი ბინადრობს. მოგზაურები ამბობენ, ბრიტანელები ცივი, მიუკარებელნი არიანო, და საერთოდ „ნისლმობურულ ალბიონზე" მრავალი ლეგენდა დადის. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ჩვენს იქ ყოფნაში არც ნისლი ყოფილა და არც ინგლისელები ჩანდნენ მიუკარებელნი... გაიარეთ ტრაფალგარზე, დააკვირდით ჰაიდ-პარკის ბინადართ, გაესაუბრეთ სტუდენტებს, ნახეთ ღამის პიკადილი...

ვასილ მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.



სურათებზე:

1. სძინავს ტკბილი ძილით.
2. ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე...
3. საითკენ სჯობს.
4. მოდების ლიმილი ანუ მინი, მიდი და მაქსი.

ფოტო ავტორისა.

საქართველოს მთა-ბარში

ხალხის სიყვარული

მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ზუგდიდის რაიონის მშრომელებთან

◆

ზუგდიდის რაიონის მშრომელებთან თითქმის მთელი ერთი კვირა იყვნენ სტუმრად გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი, მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე და გამომცემლობის მუშაკთა ერთი ჯგუფი. გამართა ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები, საუბრები ქალაქის ინტელიგენციასთან, მშრომელებთან, კოლმეურნეებთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.

თავდაპირველად მწერალი და თბილისელი სტუმრები მიიწვიეს პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში, სადაც მოეწყო „ნაკადულის" მიერ გამოცემული ლიტერატურული ალმანახის „ენგურის" განხილვა. ამავე დღეს კონსტანტინე ლორთქიფანიძე ესტუმრა ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლას. მოსწავლეები სიხარულით შეხვდნენ საყვარელ მწერალს. მოეწყო საზეიმო შეკრება, რომელიც გახსნა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ე. ბვილიამ. ინტერესით მოისმინეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ზ. ფაზულიას მოხსენება მწერლის შემოქმედებაზე.

რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში", სადაც მწერალი მეორე დღეს მიიწვიეს, შეხვედრა გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კუტალიამ. მოხსენებით გამოვიდა სოფლის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნაჟუებია. მწერალს მიესალმნენ სოფლის ინტელიგენციის, მშრომელთა წარმომადგენლები და მოსწავლეები. თავის სიტყვაში კონსტანტინე ლორთქიფანიძემ შეკრებილთ აღუთქვა, რომ „ნაკადული" თავის გეგმაში გაითვალისწინებს გამოსცეს წიგნი კოლმეურნეობა „საქართველოს" მშრომელთა მიღწევებზე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძესა და „ნაკადულის" თანამშრომლებთან გულთბილი შეხვედრა მოეწყო აგრეთვე პარტიის ზუგდიდის ქალაქკომის სხდომათა დარბაზში. შეხვედრა გახსნა პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ლ. ნადარეიშვილმა. გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა ვ. ძიძიგურმა და მეცნიერულ-პოპულარული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქციის გამგემ ლ. გოგოხიამ ილაპარაკეს „ნაკადულის" საიუბილეო წლის გეგმებზე. მოსმენილი საკითხის ირგვლივ გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი. შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს გამომცემლობის დირექტორის კონსტანტინე ლორთქიფანიძის სიტყვა.

ზუგდიდის რაიონში მწერლის სტუმრობის ბოლო აკორდი იყო შეხვედრა რაიონის ინტელიგენციასთან, რომელიც გაიმართა შ. დადიანის სახელობის თეატრში. შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა მ. დემერიამ, მწერლის შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა ც. ქირიამ. შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, ხოლო მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გამართეს სახელდახელო კონცერტი.

თავის სიტყვაში კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ილაპარაკა „ნაკადულის" საიუბილეო წლის გეგმებზე და დიდი მადლობა გადაიხადა იმ გულითადი შეხვედრებისათვის, რაც მწერალს ზუგდიდის რაიონში ყოფნის პერიოდში მოუწყეს. („კომუნისტის" კორ.).

ვეტერანები იგონებენ...

ჭიათურა. (საკ. კორ.). კარგი ღონისძიება განახორციელეს ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, ქალაქის კულტურის სახლმა და ქალაქის № 2 ბიბლიოთეკამ. საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით მათ შეხვედრა მოუწყეს რევოლუციის ვეტერანებს, ჭიათურელ ძველ ბოლშევიკებს ა. გოცაძეს, ნ. მელქაძესა და ვ. ხვედელიძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ გ. ცერცვაძემ. მოხსენება თემაზე — „რევოლუციის ვეტერანები ჭიათურიდან" წაიკითხა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ნ. ჯაფარიძემ.

ვეტერანებს ლექსით მიმართა ახალგაზრდა პოეტმა თ. გურჯიძემ. ჭიათურაში რევოლუციურ მოძრაობაზე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ რევოლუციის ვეტერანები ა. გოცაძე და ვ. ხვედელიძე. მათ დამსწრეებს გააცნეს მარგანეცის ქალაქის მუშათა კლასის რევოლუციური წარსული.



მწვანე გუშაგები — ასე უწოდა ამ სურათს ფოტოკორესპონდენტმა ნ. მანჯგალაძემ, რომელმაც იგი გადაიღო ცხაკაიის რაიონის სოფელ ხორშში.

მ ო კ ლ ე დ

● **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). შორს არის განთქმული ზესტაფონური ფეროშენადნობი, კაბელი, ღვინო, მარმარილო. აქაური მარკის პროდუქცია მსოფლიოს 45 ქვეყანაში მიდის.

● **ამას** წინათ ლენინგორის რაიონის მაღალმთიან სოფელ წირქოლის მშრომელებმა კარგი საახალწლო საჩუქარი მიიღეს. დაიხსნა რაიონის ცენტრიდან პირდაპირ მიმოსვლის ავტობუსი ლენინგორი-წირქოლი.

შ. ბედოევა.

სპორტი

სამი ტურის შემდეგ

ლიდერობს ე. გუფელდი

გორი. 11 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი ჭადრაკში.

კვირას შედგა მეორე ტური. შეუპოვარი ბრძოლით გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონისა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის ნანა ალექსანდრიასა და გროსმაისტერ ს. ფურმანის პარტია. დებიუტიდან ნანამ უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ უინიციატივოდ თამაშობდა და უპირატესობა მისი მეტოქის მხარეზე გადავიდა. ენდშპილში ალექსანდრიამ შეძლო ბრძოლაში გარდატეხის შეტანა, კვლავ ხელთ იგდო უპირატესობა და თითქოს შეხვედრის ბედი მის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ამ დროს საქმეში ცაიტნოტი ჩაერია. ალექსანდრიას 36-ე სვლა მხედრით არაზუსტი აღმოჩნდა, 38-ე სვლაზე კი დროს გადაცილდა და დამარცხება ჩაეთვალა. პარტიის გარჩევისას შტეინმა ალექსანდრიას აჩვენა, რომ [illegible] მოსაგები პოზიცია ჰქონდა [illegible] და მოეგო კიდევაც.

აგრესიული ბრძოლისათვის იყვნენ განწყობილნი შტეინი და სავონი. არა ერთი გართულების შემდეგ მეტოქენი იძულებული იყვნენ 46-ე სვლაზე ყაიმს დასჯერებოდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გურგენიძე-გუფელდისა და პლატონოვ-ჯინჯიხაშვილის პარტიები. ბოკუჩავამ პაიკი მოუგო გაგუას და ეს უპირატესობა გამარჯვებით დააგვირგვინა. გადაიდო უბილავასა და კუთარიშვილის პარტია, სადაც პირველი მოგების შანსებს ინარჩუნებს.

დღეს გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში შედგა მესამე ტური.

ბევრად უკეთესი პოზიცია ჰქონდა დებიუტის შემდეგ ალექსანდრიას პოდგაეცთან. ნანამ უარყო მეტოქის მიერ შეთავაზებული ყაიმი, მაგრამ ისევე, როგორც წინა ტურში სამეში ცაიტნოტი ჩაერია და მოწინააღმდეგენი ყაიმს დასჯერდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გროსმაისტერების ფურმანისა და შტეინის პარტია. სავონმა მოუგო უბილავას, გუფელდმა — გაგუას. სამი პარტია გადაიდო. გურგენიძეს უკეთესი პოზიცია აქვს კუთარაშვილთან, ჯინჯიხაშვილს — მიქაძესთან. ბოკუჩავა-პლატონოვის პარტია გადადებულია რთულ პოზიციაში.

სამი ტურის შემდეგ ლიდერია თბილისელი გროსმაისტერი ე. გუფელდი, რომელსაც 2,5 ქულა აქვს. 12 იანვარს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

პოლონეთში, 13 მაისს...

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათაშორისო ტურნირი ჭადრაკში წელს უნდა შედგეს, მაგრამ სად ან როდის, აქამდე არ იყო გარკვეული. და აი მიღებულია ცნობა, რომ ეს ტურნირი, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი ნანა ალექსანდრია, გაიმართება პოლონეთში 13 მაისიდან.

მ ე ს ა მ ე ჯ ე რ

თავის ტიტულების საკმაოდ დიდ კოლექციას ჩვენმა თანამემამულემ ა. მეტრეველმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წოდება შეუმატა. ეს არის ტასმანიისკლია პირველობაზე ჩემპიონობა. ა. მეტრეველმა ავსტრალიაში ჩოგბურთელთა ამ დიდ ფორუმზე გაიმარჯვა, ერთეულთა და შერეულ წყვილთა ასპარეზობაში ო. მოროზოვასთან ერთად. ო. მოროზოვამ ამერიკელ ბ. ჰოგანთან ერთად გაიმარჯვა ქალთა წყვილების შეჯიბრებაში.

ამრიგად, ა. მეტრეველმა „მწვანე კონტინენტის" სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და სამივეში გაიმარჯვა.

კობა პირველი იყო

ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ ბაკურიანი ითვლება. ზამთარ-ზაფხულობით აქ თავს იყრის დიდძალი დამსვენებელი. ბაკურიანი გამოირჩევა თავისი კლიმატური პირობებით, მდებარეობით. მაგრამ მას აქვს სხვა მნიშვნელობაც, იგი ხომ საბჭოთა კავშირში განთქმულია სამთო-სათხილამურო სპორტის ჩინებული ბაზებით. ამიტომაც არის, რომ აქ ყოველწლიურად ცოტა როდი იმართება საკავშირო მნიშვნელობის ასპარეზობები, საერთაშორისო ტურნირები.

ასეთი ასპარეზობები წელსაც ბევრია. ერთ-ერთი მათგანის მოწმე გასულ კვირადღეს ვიყავით. ეს გახლდათ სსრ კავშირის თასის გათამაშება თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. მართალია, მოხდა ისე, რომ ბაკურიანში ჯერ კიდევ ცოტაა თოვლი, ამიტომ მის მოზიდვას ტრამპლინთან ასამდე მანქანა და 500-მდე მარხილი დასჭირდა, მაგრამ ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობის ასპარეზობისათვის არაფერს შეეშალა ხელი.

ბევრი სტუმარი ჰყავდა ბაკურიანს კვირას. სსრ კავშირის თასის გათამაშების სტარტზე გამოვიდა 15 გუნდი, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა 72 ტრამპლინიდან მხტომელი. მათ შორის იყვნენ საუკეთესო მოთხილამურეები — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. ნაპალკოვი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, მრავალ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობაში სახელმოხვეჭილი მხტომელი კობა წაქაძე, ჩვენი ქვეყნის 1968 წლის ჩემპიონი მ. ვერეტენიკოვი, ი. ზუბარევი და სხვები.

ასპარეზობა მიმზიდველი გამოდგა. მეტოქეებს უნდა შეესრულებინათ ორ-ორი ნახტომი. გუნდურ ჩათვლაში შედიოდნენ მხოლოდ ის მოთხილამურეები, რომლებიც პირველ ოცეულში მოხვდებოდნენ. ბრწყინვალედ გამოვიდა ჩვენი თანამემამულე კ. წაქაძე. მან პირველი ნახტომით აჩვენა 107,5 მეტრი, მეორე ნახტომით — 102 მეტრი, 229 ქულა შეაგროვა, ყველას გაუსწრო პირად ასპარეზობაში და სსრ კავშირის თასი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ვერეტენიკოვი (გორკის ოლქი, პირველი ნახტომი 105, მეორე — 95, 221 ქულა). მესამეზე — ს. ლენინსკი (ლენინგრადი, პირველი ნახტომი 102, მეორე — 96, 217,5 ქულა). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გ. ნაპალკოვმა 215 ქულით (ნახტომები 101 და 90) მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

გუნდურ ასპარეზობაში შარშანდელი გათამაშების მსგავსად გაიმარჯვა და მასთან ერთად თასი მოიპოვა გორკის ოლქის გუნდმა. მეორე იყო ლენინგრადის გუნდი, მესამე — პერმის გუნდი, მეოთხე — საქართველოს გუნდი.

სურათებზე: მარცხნივ — სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გამარჯვებული სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. წაქაძე თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის დროს. მარჯვნივ — გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებული გორკის ოლქის მხტომელთა კოლექტივი.

ფოტო ო. გელაშვილისა და საქტესის ფოტოქრონიკისა.

რამდენიმე სტრიქონით

● **საბჭოთა** კავშირში იმყოფება შვეციის ბურთიან ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი. მორიგი საერთაშორისო შეხვედრა სტუმრებს ჰქონდათ კვირას მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე სსრ კავშირის ნაკრებთან და კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად ანგარიშით 1:2.

● **ალმა-ატაში** გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ჩქაროსნულ ციგურაობაში. გარდა საბჭოთა კავშირისა, ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის უძლიერესმა მოციგურავეებმა. 9 და 10 იანვრის ასპარეზობებმა მაღალი შედეგები მოგვცეს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა რუტ შლაიერმახერმა 500 მეტრი გაირბინა 44,7 წამში. ეს დრო საუკეთესოა მსოფლიოში ახალ სეზონის მიხედვით. ჩინებული შედეგები ჰქონდა აგრეთვე გაჩინის პედაგოგიური ტექნიკუმის 17 წლის მოსწავლეს ლარისა მოროზოვას. 1.500 მეტრზე მან აჩვენა დრო 2 წუთი და 26,6 წამი, 1.000 მეტრზე — 1 წუთი და 35,6 წამი, 3.000 მეტრზე — 5 წუთი და 5,6 წამი და მრავალჭიდში 195,200 ქულა შეაგროვა.

● **კვირას** გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი შეხვედრები შაიბიან ჰოკეიში. გამოვლინდა მეოთხედფინალისტთა უმრავლესობა. აი როგორ დაწყვილდნენ მეტოქეები — „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი), სკა (ლენინგრადი) — „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ხ. პ. ჯინჯიხაძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილედ.

დაფასებული ამაგი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პროფესორ **დავით ანდღულაძის** საშემსრულებლო-პედაგოგიური მოღვაწეობის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში, როგორც შესანიშნავმა მომღერალმა და მასწავლებელმა დ. ანდღულაძემ ფართო ხნული გაავლო საოპერო ხელოვნების ისტორიაში. მისი გასაოცრად მძლავრი ტენორი, რომელიც ღრმა დრამატიზმითა და დიდი ემოციურობით ხასიათდებოდა, მრავალი წლის განმავლობაში ჟღერდა როგორც ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზეც. მის მიერ შექმნილმა მაღალმხატვრულმა მუსიკალურმა სახეებმა (გერმანი, ხოზე, რაული, მანრიკო, კანიო, კავარადოსი, ოტელო და მრავალი სხვა) არაერთხელ მოხიბლეს მსმენელები. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მას ქართული ეროვნული სახეების შექმნაში (აბესალომი, მალხაზი, შოთა რუსთაველი, ტარიელი, ბაში-აჩუკი და სხვ.).

1946 წლიდან დ. ანდღულაძე, როგორც თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, თავის მდიდარ ვოკალურ-სცენურ გამოცდილებას თავის მოწაფეებს გადასცემს. ბევრს როდი შეუძლია იამაყოს ისეთი ტალანტების გამოზრდით, როგორიც არის სსრკ სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ანდღულაძე, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ზ. სოტკილავა და სხვანი.

საღამო გახსნა და კონსერვატორიის პედაგოგ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სახელით სიტყვა წარმოთქვა კონსერვატორიის რექტორმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. ცინცაძემ. იუბილარს მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი.

დ. ანდღულაძის შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ვ. ხმალაძემ. მოგონებით გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე. დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მისმა ყოფილმა მოწაფეებმა. ოპერის სოლისტებმა ზ. ანჯაფარიძემ, ნ. ანდღულაძემ, ზ. სოტკილავამ, ა. გაგუამ, ვ. კანდელაკმა, კ. ფირცხალავამ, ნ. ნადიბაიძემ, თ. ფარცვანიამ, ა. ჟურდულიამ, სტუდენტებმა: ე. გეწაძემ, თ. ჩაჩავამ, მ. ნამორაძემ და სხვებმა. შესანიშნავი მომღერლის შემოქმედებითმა საღამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ნ. სვანიშვილი.

აღზრდის სამსახურში

შევკრიბოთ ხალხური პედაგოგიური სიბრძნე

ვარში ტრადიცია დღემკვიდრდა ჩვენში — პრესა, რადიო, ტელევიზია, სათანადო მეცნიერულ გამოკვლევათა საფუძველზე, დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. არმაზის ციხის, მცხეთის, ომპის, ნიკორწმინდის, სვეტიცხოვლის, გელათის და სხვა ძეგლებთან ერთად, ცნობილი ხდებიან სხვა ისტორიული ძეგლებიც. ასეთივე დიდი ინტერესია ქართული ფოლკლორისა და მუსიკალური კულტურის მიმართაც.

არანაკლები უნდა იყოს ქართული ისტორიული კულტურის სხვა ამოცანაც, რომელიც დასმასა და განხორციელებას მოითხოვს. ეს არის მრავალათეულსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ხალხური პედაგოგიური სიბრძნე.

მოგზაურებმა და ეთნოგრაფებმა დიდი ამაგი დასდეს პირველყოფილი და მომდევნო პერიოდების ყოფაცხოვრების, აზროვნებისა და აღზრდის შესწავლის საქმეს. ეს ადამიანები მიდიოდნენ და მთელი წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ იმ ხალხებში, რომლებიც ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოსულიყვნენ პირველყოფილი მდგომარეობიდან, ცხოვრობდნენ მათთან ათეული წლების მანძილზე და დიდი გულმოდგინებით აკვირდებოდნენ მათს ზნე-ჩვეულებას, ყოფიერებას, ფსიქოლოგიას, აზროვნებას, აღზრდის ხასიათს, წესებს და იწერდნენ ამ მასალებს. ასეთი მუშაობის შედეგად ისტორიას შემორჩა არაერთი შესანიშნავი ნაშრომი.

სწორედ ასეთი მუშაობის შედეგად გარკვეული წარმოდგენა გვაქვს, კერძოდ, ახალი კალედონიის, ახალი გვინეის, ახალი ზელანდიის მცხოვრებთა, ძველი ეგვიპტელების, ინდოელების, აფრიკელების, არაბების, პოლინეზიელების, მელანეზიელების, მექსიკელების, ბერძნების, რომაელებისა, სპარსელების, ქალდეველებისა და სხვ. ხალხებში არსებული პირველყოფილი და შემდგომი პერიოდების აღზრდის შესახებ.

საქართველოში ფოლკლორულ ნაწარმოებთა შეკრებას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც ამჟამადაც წარმატებით გრძელდება, მაგრამ ასეთი მუშაობა აღზრდის მასალებს არ ითვალისწინებს. თუმცა არც ფოლკლორული მასალაა საკმარისი. საყურადღებოა, კერძოდ, უძველესი დროიდანვე შემუშავებული წესები, მამა-პაპათა პირადი გამოცდილებაც და სხვ. როცა შემკრებლობითი მუშაობა პედაგოგიური თვალსაზრისით იქნება გაწეული, არც ის დარჩება უყურადღებოდ, რომ ხალხი საგანგებოდ ქმნიდა ნაწარმოებებს ამა თუ იმ საქმიანობის საჭიროებასა და შესრულების წესებზე. მაგალითად, მიწის დამუშავების, შენობის აგების, იარაღების დამზადებისა და სხვ. თავის ცნობილ წიგნში „აღზრდის ევოლუცია სხვადასხვა რასებში" შ. ლეტურნო, მაგალითად, აღნიშნავს, რომ ავსტრალიელი მამაკაცები ვაჟებს ასწავლიდნენ ცურვას, შუბის, ქვის ცულისა და სხვა იარაღთა გამოყენებას, მოხუცი ქალები კი გოგონებს ასწავლიდნენ ხის ქერქიდან ქარისაგან თავდასაცავი ფარდულის აშენებას. ასეთ წესებზე ზოგჯერ ლექსები და სიმღერებიც იქმნებოდა. საქართველოში, სხვა მასალებთან ერთად, მრავალი ასეთი მასალაც შეიძლება მოინახოს, რაც შესაძლოა უყურადღებოდ დარჩეს საერთო მიზნით წარმოებული შემკრებლობითი მუშაობის დროს. პედაგოგიური ხასიათის ექსპედიცია ბევრ საინტერესო მასალას აღმოაჩენს აგრეთვე სკოლის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. სკოლის ისტორიის ფესვები ჩვენი წელთაღრიცხვის წინა პერიოდებში მოჩანს, მაგრამ ამასთან ერთად, ჩვენ ყოველი შემდგომი პერიოდიც გვაინტერესებს. თვით წინა ათეული წლებიც კი, რომელთა მომსწრე ბევრი ადამიანია. მათ ან გადმოცემა ექნებათ ამის შესახებ, ან ამბავი, რაც ჩაწერის შემდეგ სხვადასხვა წერილობითი ძეგლებით შეიძლება დადასტურდეს. ან ავიღოთ თვით ხალხურ აღმზრდელებზე შემორჩენილი ცნობები, რომლებიც არანაკლებ საინტერესოა ჩვენი პედაგოგიური კულტურის ისტორიის შესასწავლად. ასეთი მასალებით გაირკვევა, თუ როგორ ასწავლიდნენ ჩვენი წინაპრები მოზარდ თაობებს შრომას და უმუშავებდნენ სათანადო უნარს, როგორ უნერგავდნენ მათ მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულს, მისთვის თავდადების შეგნებასა და ჩვევებს, ჰუმანურობის, კოლექტიურობის, ამხანაგობის, მეგობრობის გრძნობებს. როგორ ასწავლიდნენ და უმუშავებდნენ ფიზიკური და სამხედრო წრთობის წესებსა და უნარს, ესთეტიკურ გემოვნებას, შეხედულებებს ადამიანის სხვა საჭირო თვისებებთან მათი შერწყმის აუცილებლობის შესახებ და ა. შ.

ამის შესწავლა იმიტომაც არის საჭირო, რომ ადამიანის ფორმირების ამოცანას ყოველთვის ცხოვრების მოთხოვნილებები განსაზღვრავდა. ამიტომ აღზრდა ბუნებრივად დაუკავშირდა და შეესისხლხორცა ხალხის სამეურნეო-კულტურული ცხოვრების ყოველ დარგს. აღზრდის შედეგია მიწათმოქმედიც, მჭედელიც, მუსიკოსიც, ქორეოგრაფიც, მეჩუქურთმეც, ხუროთმოძღვარიც, მწერალიც, ვექილიც, მეომარიც და ა. შ.

არქეოლოგიური აღმოჩენები მრავალ იმის დამამტკიცებელ მასალას გვაწვდის, რომ ჯერ კიდევ პალეოლითის, ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდებში მცხოვრები ჩვენი წინაპრები მრავალი დარგის წარმოებაში ყოფილან დახელოვნებულნი — კერამიკაში, ქანდაკებაში, მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადებაში, მჭედლობაში, მესაქონლეობაში და სხვ.

ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ სათანადო კადრებიც იყვნენ, რომელთაც მომზადების გარკვეული საფეხურები უნდა ჰქონოდათ გავლილი. ხალხი სკოლაზეც ფიქრობდა და ასახა კიდეც მისი გარკვეული სახე. ხალხური პედაგოგიური შეხედულებები და წესები ათიათასეულ წელთა მანძილზე ემსახურებოდნენ ქართველი ბავშვის აღზრდა-განათლების საქმეს, რადგან ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, ანდაზები, გამოცანები და სხვ., რომლებშიც ისინი მოჩანან, ხალხის სიბრძნეს შეიცავენ, კერძოდ, აღზრდის დარგში. ხალხური პედაგოგიური აზროვნების ძალა იმაშია, რომ იგი ორგანულად დაკავშირებულია ხალხის სულიერ მოთხოვნილებებთან და არსებობასთან. მისი ძალა იმაშიც არის, რომ აქ ორგანულად ერწყმის ერთიმეორეს პიროვნული და საზოგადოებრივი, ინდივიდუალური და კოლექტიური შეხედულებანი აღზრდაზე, რადგან ისინი არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ ათასეულთა მიერ შექმნილი შეხედულებებია და ადამიანის სულიერი და ფიზიკური მომზადებისა და სრულყოფის ამოცანებს ემსახურებოდნენ. ისე რომ ხალხური პედაგოგიკის არსებაში მეტად სათუთი, ჰუმანური, თბილი გული ძგერს და მისი პოვნა მხოლოდ მის სულიერ სამყაროში ჩაწვდომით და მამოძრავებელი ძარღვის პოვნით არის შესაძლებელი.

ხალხური აზრი მრავალ წინააღმდეგობათა ქარტეხილში გამონადადი ბრძნული და სასარგებლო აზრია. ამით აიხსნება, რომ თითქმის ყოველი პროგრესული პედაგოგი-მოაზროვნე დასწაფებია მას.

იმის მიუხედავად, რომ იმჟამად სრულიად შეუსწავლელი იყო ხალხური პედაგოგიური შეხედულებანი, ეს მოღვაწეები მაინც გრძნობდნენ მათს დიდ მნიშვნელობას ადამიანის ფორმირებისათვის. ამჟამად კი ქართულ ხალხურ პედაგოგიურ მაჯისცემაზე მრავალი წლის დაკვირვება უფრო საინტერესო ფურცლებს შლის ჩვენს წინაშე. მასში ვნახულობთ უნიკალურ შეხედულება-გააზრებებს, ჩანაფიქრებს აღზრდის ყოველ მხარეზე, რომლებიც გვერდს დაუმშვენებდნენ გამოჩენილ კლასიკოს-პედაგოგთა აზრებსაც. ამ სულიერი კულტურის მცირე ნაწილის შესწავლაც კი ავლენს მდიდარი და გამძლე ხალხის შინაგან კულტურას. ამ ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობიდან ბევრი რამ დავიწყებას მისცემია, დაკარგულა, მაგრამ ნაწილი მაინც შემოუნახავს მოხუცთა ცნობიერებას.

ჩვენი აზრით, საჭიროა დაიწყოს და გაიშალოს მუშაობა ხალხური აღზრდის მასალების შეკრებისათვის. ამით მკვლევარს უფრო მეტი პერსპექტივაც გადაეშლება, რადგან ადამიანის სული ყველაზე მეტად მაშინ ჰყვავის, როცა მთელი კოლექტივის, მასების განცდილსა და ნააზრევს ემყარება. ასეთი მუშაობა ქართული პედაგოგიური აზროვნების სრულყოფილად შესწავლასაც დაგვეხმარებოდა და საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდაშიც. პედაგოგიური თვალსაზრისით ფოლკლორული და სხვა სახის მასალების შეკრება და შესწავლა მათდამი აზროვნების თვალსაზრისით მიდგომას ნიშნავს, რაც ჯერჯერობით არ წარმოებულა. ხალხური პედაგოგიური აზროვნება ორგანულად დაკავშირებულია ცოდნის მრავალ დარგთან. მისი ამსახველი მასალების შეგროვებისას ხალხური აზროვნების სხვა დარგების მასალებიც შეგროვდებოდა, რაც ამ დარგთა მოღვაწეებს კვლევა-ძიების ახალ პერსპექტივას გადაუშლიდა.

ამ დიდ საქმეში შეკავშირება და ურთიერთ დახმარებაა საჭირო, მით უფრო, რომ იგი სრულიად ახალი და უტრადიციოა. ჩვენი რესპუბლიკის ყოველი რაიონი და მისი საგანმანათლებლო დაწესებულებანი — განათლების განყოფილება, სკოლა, კლუბი, სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები, ყოველი მასწავლებელი, მოზრდილი მოსწავლე, ყოველი ადამიანი უნდა ჩაებას ამ უკვდავ საშვილიშვილო საქმეში ამ შეგნების საფუძველზე, რომ ეს მუშაობა უძველესი, ძველი და ახალი ქართული ზეპირი პედაგოგიური კულტურის შესწავლასა და მის სოციალისტურ პირობებში გამოყენებას მოემსახურება. ცხადია, რაც ამჟამად არ გამოდგება, არ გამოვიყენებთ, მაგრამ უნდა დავიცვათ და ვუფრთხილდებოდეთ როგორც ჩვენი წინაპრების სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ ბარომეტრს, ძვირფას რელიკვიებს.

შევკრიბოთ ხალხური პედაგოგიური სიბრძნე.

ან. ხინთიბიძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

გ. დ. გვენეტაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტმა გივი დომენტის-ძე გვენეტაძემ უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„მ. გორკი და ქართული ლიტერატურა (1898-1917 წ.წ.)".**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. დ. გვენეტაძისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

აცხადებს კონკურსს პროფესორ-მასწავლებლების შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. **ქანდაკების კათედრის დოცენტის** 3 ადგილი — 1 მთლიანი საშტატო ერთეული და ორი 0,5 საშტატო ერთეული.
2. **მხატვრული კერამიკისა და მინის კათედრის** დოცენტის — 2 საშტატო ერთეული — სპეციალობა მხატვრული კერამიკა.
3. **დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კათედრის დოცენტის** — 1 საშტატო ერთეული ლითონმცოდნეობისა და თერმული დამუშავების სპეციალობა და 2 საშტატო ერთეული ინტერიერის პროექტირების სპეციალობა.
4. **საინჟინრო-ტექნიკური კათედრის დოცენტის** — 1 საშტატო ერთეული სპეციალობა სამშენებლო მასალები, დეტალები და ნაწარმი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები ორი ფოტოსურათითა და საბუთებით შეტანილ უნდა იქნას სამხატვრო აკადემიის რექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო წოდების ან სამეცნიერო ხარისხის ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, შემოქმედებითი და მეცნიერული ნაშრომების სია, რეცენზიები და მათზე გამოთქმული აზრები, ან ცნობა შემოქმედებითი მოღვაწეობაზე, ფოტორეპროდუქციები.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის ვადაა ორი კვირა ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

სამხატვრო აკადემიის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 22, ტელეფონი 93-69-92.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

12 იანვარი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 11.45 — მხატვრული ფილმი — „ჩვენიანი", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის — „გაბედული ფოტომონადირე", 18.40 — ციკლიდან — „წიგნის თარო", 19.10 — „ფირმა „მელოდის სიახლენი", 19.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „გლობუსი" (მსოფლიოს ქვეყნებში და კონტინენტებზე), 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — მხატვრული ფილმი — „ლებედევი — ლებედევის წინააღმდეგ", 22.25 — ახალგაზრდობისათვის — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს" — (განმეორებით).

13 იანვარი

11.15 — კინოპროგრამა, 12.05 — მხატვრული ფილმი „ლებედევი — ლებედევის წინააღმდეგ", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის „კომკავშირული აქტივის ტრიბუნა", 18.45 — „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად", 19.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — საბჭოთა რესპუბლიკების სატელევიზიო ფესტივალი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი — უკრაინის სსრ (გადმოცემა კიევიდან), 21.00 — გადაცემა „ბეთჰოვენი და გოეთე", 21.50 — „მშობელთა ტელეუნივერსიტეტი", 22.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „დედა გათხოვდა".

თეატრები

12 იანვარი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სტუმარი და მასპინძელი.

კ ი ნ ო

12 იანვარი

ამირანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, სიხარული, თბილისი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **დასაწყისი;** ოქტომბერი, ბათუმი, ვარძია, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **ანათე, ანათე, ჩემო ვარსკვლავო;** საქართველო (წითელი დარბაზი), ყაზბეგი (პირველი დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი) — **ბურთი, ხელთათმანი... და კაპიტანი;** 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), კოლხიდა, ნაკადული, კოლმეურნე — **ქვერის ვარსკვლავები** (I, II სერია); ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ჩაიკოვსკი** (I, II სერია); ეკრანი — **ეს არის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო** (I, II სერია); თანამედროვე — **ტომ სოიერის თავგადასავალი, „ინდიელი ჯოს სიკვდილი".**

რედაქტორის მოადგილე
გ. თათარიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.